F826 N 7241

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 3

6 XI 1990

# ძლევაი საკვირველი



### წერილი გუსტავ ჰუსაკს

სადღაც, მანიპულაციური წნეხის იერარქიის მწვერვალზე, რომელიც ადამიანისაგან მომხმარებელთა ჩლუნგი ჯოგის მორჩილ წარმომადგენელს ქმნის, დგას, როგორც უკვე შევნიშნე, ფარული და ყოვლისშემძლე ძალა: სახელმწიფო პოლიცია; შემთხვევითი არაა, რომ სწორედ მის მიხედვით შეიძლება განსაკუთრებით თვალსაჩინო ილუსტრირება უფსკრულისა იდეოლოგიურ ფასადსა და ყოველდღიურ სინამდვილეს შორის.

იხ. მე-8 გვ.

### გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით

პირველ რიგში უნდა მოგახსენოთ, რომ საბოლოო გამარჯვება ჯერ არ არის მიღწეული. ნაადრევია თქმა იმისა, რომ მრგვალმა მაგიდამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, პარლამენტში ადგილების გადამწყვეტი უმრავლესობა მიიღო. ეს არ გახლავთ ასე. მოკლედ გაგაცნობთ ციფრებს, რომლებიც თქვენთვის შესაძლოა ცნობილიც არის...

იხ. მე-2 გვ.

### შეხვედრა საარჩევნო ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — დეპუტატობის კანდიდატებთან.

იხ. მე-4-5 გვ.

„თავისუფალი საქართველოს“ რედაქცია ულრმეს მწუხარებას გამოთქვამს უკანასკნელი ცისფერყანწელის, თვალსაჩინო პოეტის, უდრეკი მამულიშვილის

**კოლაუ ნადირაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების, ახლად არჩეული დეპუტატების სახელით მსურს გავაკეთო რამდენიმე განცხადება თქვენთვის საინტერესო პრობლემებზე. უწინარეს ყოვლისა, მსურს მოგილოცოთ პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნების წარმატებით ჩატარება საქართველოში, რაც უთუოდ დიდი გამარჯვებაა ჩვენი ერის, ყოველი ჩვენგანისა. მადლობას მოგახსენებთ ამისთვის.

ამასთან, მინდა ვისაუბრო ზოგიერთ შიდაპოლიტიკურ საკითხზე, არჩევნების შედეგებზე და იმაზე, თუ რა ამოცანების წინაშე ვდგავართ. პირველ რიგში უნდა მოგახსენოთ, რომ საბოლოო გამარჯვება ჯერ არ არის მიღწეული, ნაადრევია თქმა იმისა, რომ მრგვალმა მაგიდამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, პარლამენტში ადგილების გადამწყვეტი უმრავლესობა მიიღო. ეს არ გახლავთ ასე, მოკლედ გაგაცნობთ ციფრებს, რომლებიც თქვენთვის შესაძლოა ცნობილიც არის. მრგვალმა მაგიდამ პროპორციული სისტემით მოიპოვა 54,03%, ე. ი. 81 ადგილი, ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ — 29,3, ე. ი. 41 ადგილი. მაჟორიტარული სისტემით მრგვალმა მაგიდამ მოიპოვა 33 ადგილი, ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ — 16 ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით პარლამენტშიც კი ჯერჯერობით არ გვაქვს მოპოვებული გადამწყვეტი უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, პარლამენტში საქართველოსთვის სასიცოცხლო და მნიშვნელოვანი საკითხების გატანისას შეიძლება შეგვხვდეს გარკვეული წინააღმდეგობაც, შეიძლება ვერც გავიტანოთ ასეთი საკითხები. მომავალ განმეორებით არჩევნებში, რომელიც როგორც მოგეხსენებათ, უნდა ჩატარდეს 11 ნოემბერს, დარჩენილია 66 ოლქი, აქედან 59-ში ტარდება ხელმეორედ კენჭისყრა, ორორი კანდიდატია დარჩენილი, მათ შორის 47 მრგვალი მაგიდისა, 34 — საბჭოთა კავშირის კომპარტიისა, ხოლო 7 ოლქში მეორე ტურია დანიშნული.

ვრცელდება ხმები, თითქოს მრგვალმა მაგიდამ გაიმარჯვა, აღარაფერი აქვს საზრუნავი და ამჟამად უნდა გაიმარჯვონ სხვა ბლოკებმა. ეს არის დეზორიენტაცია, ეს ნიშნავს იმას, რომ მრგვალ მაგიდას აღარ ექნება საშუალება კომუნისტებზე დომინირებისა პარლამენტში და ჩვენი მიზნები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნები, შესაძლოა, ველარ იქნეს მიღწეული, ამიტომ ყველას შეგახსენებთ, რომ ბრძოლა გრძელდება. მრგვალი მაგიდის კანდიდატები კვლავ იბრძვიან განმეორებით არჩევნებში და მეორე ტურში გამარჯვებისათვის. მოვუწოდებთ მოსახლეობას, მხარი დაგვიჭირონ, როგორც წინარე არჩევნების დროს. ეს არის ძირითადი საუწყებელი არჩევნებთან დაკავშირებით.

ამასთან, უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია, ცალკეული ბლოკები და პარტიები დარჩნენ პარლამენტის გარეთ, მაგრამ უნარიანი, ნიჭიერი ადამიანები, ვინც სჭირდება პარლამენტს, აუცილებლად იქნებიან მოწვეულნი თანამშრომლობისათვის და აუცილებლად დიდი როლი ექნებათ პარლამენტის მომავალ მუშაობაში. ჩვენ ყოველივე ამას ვითვალისწინებთ და ვზრუნავთ ყოველივე ამაზე. ჩვენი დამოკიდებულება ყველა პარტიასთან, როგორც უკვე რამდენჯერმე მოგახსენეთ, არის შემრიგებლური, შემწყნარებლური და საქმიანი. თუნდაც იგივე ეროვნულ კონგრესთან. თუ რაიმე საქმიანი, ერისათვის სასიკეთო ინიციატივა წამოვა ნებისმიერი დაჯგუფებიდან, ჩვენ მას მივესალმებით და ყოველნაირად შევუწყობთ ხელს. ასე რომ, ჩვენი მიზანი არის ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა, ჭეშმარიტი ურთიერთგაგება და ეროვნული კონსენსუსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქართველოს სასიკეთოდ. არსებულ ხელისუფლებასთან, ჯერჯერობით არსებული ხელისუფლება კომუნისტურია, ჩვენ არ ვამწვავებთ ურთიერთობას, ვცდილობთ დიალოგს, ვცდილობთ სადავო პრობლემების მოგვარებას მოლაპარაკების გზით, რათა არ გამოვიწვიოთ არავითარი კონფლიქტური სიტუაცია და არავითარი გამწვავება. ეს ასეა, მაგრამ არჩევნებში განვაგრძობთ ბრძოლას, უკომპრომისო ბრძოლას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ პარლამენტში უნდა გვქონდეს უმრავლესობა საქართველოსთვის სასიკეთო კანონების მისაღებად და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გასატარებლად.

მდგომარეობა საქართველოში ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მშვიდია, მაგრამ არის ცალკეული, თუ შეიძლება ითქვას, უსიამოვნო მოვლენები. მაგალითისათვის, მიწის პრობლემასთან დაკავშირებით; სოფლის მოსახლეობამ ზოგან ამ არჩევნების შედეგები რატომღაც მიიღო იმის სიგნალად, რომ დაეუფლონ მიწებს, მიიტაცონ მიწები, უკვე ჩაყარონ ახალი მიჯნები და შეიძლება ამაზე მოხდეს დავა, კონფლიქტი. ჩვენ ვთხოვთ სოფლის მოსახლეობას, თავი შეიკავოს ამგვარი მოქმედებებისაგან. ჩვენთან მოვიდა, მაგალითად, სიგნალები მცხეთის რაიონიდან, სოფლებიდან: ნატახტარი, წილკანი, ქსოვრისი, წეროვანი, ძალისი, გალავანი, სადაც აქვს ადგილი ასეთ მოვლენებს. ჩვენ ვთხოვთ ყველას, შეიცადონ მცირე ხნით, პარლამენტი აუცილებლად შეიმუშავებს კანონს მიწის შესახებ, შეიმუშავებს კანონს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შესახებ, ხოლო მანამდე მიწის განაწილებაზე ყოველგვარი მცდელობანი და თვითნებური მოქმედებანი უნდა შეწყდეს. ეს აუცილებელია, რათა არ დაიწყოს ანარქია ამ სფეროში და ამან არ მიგვიყვანოს რაიმე არასასურველ შედეგებამდე. ყველას მოვუწოდებთ, აგრეთვე, რომ დაწესდეს კონტროლი პირველადი მოხმარების საგნებით, პროდუქტებით სპეკულაციაზე, ყოველნაირად ვეცადოთ თავიდან ავირიდოთ ასეთი მოვლენები, უკვე უნდა ვიზრუნოთ ამისთვის, ამასთან დაკავშირებით არ უნდა მოხდეს ანგარიშსწორება და საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტა ასეთი პრობლემებისა.

ისევ ვუბრუნდები არჩევნების შედეგებს და მოგახსენებთ, რომ საბოლოო გამარჯვება ნამდვილად ჯერ არ არის მიღწეული, საჭიროა კიდევ დიდი ბრძოლა და მივმართავ პირველ რიგში საოლქო კომისიებს, საარჩევნო კომისიებს. მართალია, კომისიის წევრები ძალზე გადაიტვირთნენ, დაიღალნენ, მაგრამ ვთხოვთ, მცირედიც გაიჭირვონ და ბოლომდე მიიყვანონ ეს არჩევნები. მე მგონი, ახლა მრავალი რამ არის დამოკიდებული მათ მობილიზაციაზე, მათ ინტენსიურ მუშაობაზე, როგორც ეს იყო არჩევნების დღეებში და შევახსენებთ მათ, რომ საბოლოო, დასკვნითი ფაზა არჩევნებისა შეიძლება არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ამას, ვთქვათ, მანამდე ჰქონდა ადგილი. ინტენსიური მუშაობა მართებთ საოლქო კომისიებს, რათა ყველაფერი წარმატებით დავაგვირგვინოთ.

არის შეხედულება საზოგადოებაში, თითქოს ინტელიგენცია პარლამენტის გარეშე დარჩა. ეს უაღრესად დემაგოგიური და არასწორი განცხადებაა. შეგახსენებთ, რომ მრგვალ მაგიდაში გაერთიანებულია რჩეული ინტელიგენცია, უკომპრომისო ინტელიგენცია, არაკორუმპირებული ინტელიგენცია და არა ტიტულირებული და არა პრივილეგირებული. ასე რომ, გავარჩიოთ ინტელიგენციის ორგვარი გაგება ურთიერთისაგან, ხოლო ის ადამიანები, ვინც სჭირდება პარლამენტს და ვინც სჭირდება საქართველოს, როგორც მოგახსენეთ, მოწვეულნი იქნებიან თანამშრომლობისათვის. არაფერი საგანგაშო არ არის. აი, ასეთი პრობლემების წინაშე ვდგავართ, მეგობრებო, და მოგმართავთ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ რიცხობრივი უპირატესობა ჭეშმარიტ ოპოზიციას პარლამენტში ჯერ არ მოუპოვებია, გადამწყვეტი რიცხობრივი უპირატესობა. ამისთვის მივმართავ მთელ ქართველ ერს, ამოგვიდგეს მხარში, რათა ეს ყოველივე განხორციელდეს.

იცით, რომ ტყვარჩელში, გუდაუთაში არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა. 51 პროცენტმა ამომრჩევლებისა არ მიიღო მონაწილეობა სოხუმში, ბიჭვინთაში, სოხუმის რაიონში, ოჩამჩირეში, ქალაქ ცხინვალში, ჯავაში, ზნაურში. ეს იმის გამო ხდება, მეგობრებო, რომ ჩვენს გარშემო დათესეს არაჯანსაღი აჟიოტაჟი — თითქოს ეროვნული მოძრაობა, ოპოზიცია მტერია არაქართული მოსახლეობისა, თითქოს იგი მიზნად ისახავს მათ გასახლებას საქართველოდან, რეპრესიებს და სხვა. ეს ყოველივე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, მეგობრებო. ვიმეორებ, რომ პირიქით, ჩვენ მიზნად გვაქვს არაქართველთა უფლებების დაკანონება, თანასწორუფლებიანობის დამყარება და ყოველგვარი ხელშეწყობა, ასე რომ, მათ არაფერი აქვთ საგანგაშო. ოპოზიციის გამარჯვება არაფერ ცუდს არ მოუტანს არაქართველ მოსახლეობას, და, მე მგონი, მრავალნი უკვე რწმუნდებიან ამაში და იხრებიან კიდევაც ჩვენსკენ, რაც უთუოდ მისასალმებელია.

უახლოეს ხანში შეიკრიბება უზენაესი საბჭოს პირველი სესია, ახალი უზენაესი საბჭოს პირველი სესია. ეს იქნება, ალბათ, დაახლოებით 14-15 ნოემბრისათვის. ამჟამად მუშავდება დღის წესრიგი სესიისა, მუშავდება პროცედურა, წინასწარი სამზადისია და ჩვენ გვჯერა, რომ ყოველივე კეთილად წარიმართება, რამეთუ ყოველივე მიმდინარეობს ჯანსაღი, ეროვნული კონსენსუსის გზით და საკითხები, რომლებიც აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას — განათლების საკითხი, კულტურის საკითხი, ეკონომიკის საკითხი — აუცილებლად დადგება დღის წესრიგში და დადებითად გადაწყდება. ამ სესიის დღის წესრიგის შესახებ, ყველა დეტალის შესახებ თქვენ ინფორმაციას მოგაწოდებთ ტელევიზიით, სესია ტრანსლირებული იქნება პირდაპირი ეთერით, ყველაფერი გაირკვევა ჩვენი ერისთვის, ჩვენი ხალხისთვის.

კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ჩვენი ერისთვის სასიკეთო ძვრები, რომელიც დაიწყო ჩვენს ქვეყანაში. მოგიწოდებთ, კვლავ დაირაზმოთ ეროვნული მოძრაობის გარშემო, ჭეშმარიტი ეროვნული ოპოზიციის გარშემო, რათა მან მიაღწიოს საბოლოო გამარჯვებას მომავალ პარლამენტში და გადამწყვეტ რიცხობრივ უპირატესობას. გმადლობთ ყურადღებისათვის.

# განმეორებით არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატები

რედაქციისაგან: აქვე გაახლებთ მრგვალი მაგიდის მიერ დასახელებულ იმ კანდიდატთა გვარებს, რომელთა მოწინააღმდეგენიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები არიან 11 ნოემბერს დანიშნულ ხელახალ კენჭისყრაში.

ოლქი №8 მამაცაშვილი მაია (მრგვ. მაგ. 8412 ხმა)
ინგოროყვა ანტონ (კომპარტია, 2681)

№13. მელაძე ალბერტ (მრგვ. მაგ. 9367)
ბონდარენკო ვლადიმერ (კომპარტია, 5067),

№14. ჩაჩავა თენგიზ (მრგვ. მაგ. 8487)
მურადიანი ჰენრიხ (კომპარტია, 5641),

№16. იონათამიშვილი ჯემალ (მრგვ. მაგ. 9858)
ქუტიძე შოთა (კომპარტია, 4109),

№18 ბუჩაშვილი მანანა (მრგვ. მაგ., 4415)
კაპანაძე კონსტანტინე (კომპარტია, 7858),

№19 კვეტენაძე ავთანდილ (მრგვ. მაგ. 5777)
შოშიტაიშვილი ბადრი (კომპარტია, 7109),

№30 გურასპაშვილი ბელა (მრგვ. მაგ. 7027)
შარიქაძე ვალერიან (კომპარტია, 10010),

№32 ჩხეიძე პაატა (მრგვ. მაგ. 8649)
გვერდწითელი გურამ (კომპარტია, 8302),

№33 ცომაია შალვა (მრგვ. მაგ. 9888)
ხარატიშვილი გურამ (კომპარტია, 6868),

№35 იმერლიშვილი გივი (მრგვ. მაგ. 9942)
მულაძე როლანდ (კომპარტია, 9115),

№36 ხამპაპურიძე ნიკოლოზ (მრგვ. მაგ. 6047)
ბერიძე ალექსი (კომპარტია, 10836),

№52 ბოკუჩავა ზვიად (მრგვ. მაგ. 2869)
შუშანაშვილი ალექსანდრე (კომპარტია, 2170),

№54 წინწალაშვილი შალვა (მრგვ. მაგ. 6998)
გულიაშვილი თემურ (კომპარტია, 4524),

№59 მოლოდინაშვილი ნუგზარ (მრგვ. მაგ. 6546)
ოსეფაშვილი თემურ (კომპარტია, 8208),

№62 ტურაშვილი ივანე (მრგვ. მაგ. 6909)
ზაზიაშვილი ალბერტ (კომპარტია, 8287),

№65 ხაუვარელიძე მერაბ (მრგვ. მაგ. 7878)
გორგოძე ჯემალ (კომპარტია, 8805),

№70 ახვლედიანი ალექსანდრე (მრგვ. მაგ. 10372)
ზაზიაშვილი თეიმურაზ (კომპარტია, 8178)

№74 იმნაძე ავთანდილ (მრგვ. მაგ. 17549)
ქორქაშვილი მირზა (კომპარტია, 18688),

№75 აბესაძე ბეჟან (მრგვ. მაგ. 5869)
კუბლაშვილი თამაზ (კომპარტია, 5270),

№76 ხანიკიძე გუგაზ (მრგვ. მაგ. 8805)
ფრუიძე ირაკლი (კომპარტია, 4960),

№78 ხაზულიანი დილარ (მრგვ. მაგ. 1824)
ტვილდიანი დავით (კომპარტია, 1850),

№84 ქლენტი ალექსანდრე (მრგვ. მაგ. 6540)
მახარაძე გიორგი (კომპარტია, 5639),

№108 მირცხულავა ვლადიმერ (მრგვ. მაგ. 4702)
გვაძაბია დავით (კომპარტია, 5920),

№110 ჯანჯულია ედიშერ (მრგვ. მაგ. 6159)
ქარდავა რაჟდენ (კომპარტია, 5818),

№125 გველესიანი თამაზ (მრგვ. მაგ. 1622)
ხოხაშვილი ნოდარ (კომპარტია, 1724).

და კიდევ ერთი. არის რამდენიმე ოლქი, სადაც მრგვალი მაგიდის წარმომადგენელთა კონკურენტები ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ დასახელებული კანდიდატები არიან. მათ შორის რამდენიმე ისეთი პირია, რომელთა არჩევნებში მონაწილეობა კომუნისტური პარტიის გვერდის ავლით, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელია, თუმცა, მკითხველმა თავად განსაჯოს:

№15 მარგველიძე ჯემალ (ამომრჩ. ჯგ. 6841)
ჩიქავა გოგი (მრგვ. მაგ. 8952),

№20 გოგლიძე რამაზ (ამომრჩ ჯგ. 4478)
თომაძე მაია (მრგვ.მაგ. 7801),

№49 შარტავა ჟიული (ამომრჩ. ჯგ. 5511)
მაქაცარია გურამ (მრგვ. მაგ. 9270),

№83 ჩხეიძე პეტრე (ამომრჩ. ჯგ. 7564)
კახიანი ზაალ (მრგვ. მაგ. 6236),

№90 ჯახია რაულ (ამომრჩ. ჯგ. 7252)
ბელანტია ტარიელ (მრგვ. მაგ. 9085).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამულიშვილნო!**

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები. მოგილოცავთ გამარჯვებას!

ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთიანობამ, ჩვენი ბრძოლის სამართლიანობამ შეუძლებელი შესძლო, მეგობრებო.

დიახ! არც თუ ისე დიდი ხნის წინ არავის ეგონა, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, კომუნისტური რეჟიმის პირობებში ჩვენ შევძლებდით მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას — არასაბჭოური არჩევნების ჩატარებას. მაგრამ ეს გახდა შესაძლებელი ჩვენი ხალხის მაღალი პოლიტიკური სიმწიფის შედეგად, მაღალი შეგნების შედეგად, მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული ძალისხმევის შედეგად.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, მეგობრებო: ყოველი თქვენგანი, ვინც აქ ბრძანდებით, ყოველი თქვენგანი მონაწილეობდა ამაში, ყოველი თქვენგანის გამარჯვებაა ეს. და არა მარტო თქვენ, ვინც აქ ბრძანდებით — მთელი საქართველო დაირაზმა ჩვენს გარშემო, მეგობრებო. ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო საყოველთაო ხასიათი. ბევრმა ახლა დაინახა, რომ აუცილებელია ამ არჩევნების გარშემო დარაზმვა. ნუ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ მრგვალმა მაგიდამ გააკეთა — მხოლოდ იმ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მრგვალ მაგიდაში შედიან, ეს იქნებოდა უდიდესი უსამართლობა, მეგობრებო! მრგვალი მაგიდა წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც ჩვენ ვიხილეთ საქართველოში ამ დღეებში. ეს იყო ნამდვილად მთელი ერის უდიდესი წარმატება, ამიტომ ჩვენ არ ვისაკუთრებთ ამ გამარჯვებას და არ ვთვლით, რომ ჩვენ პირველნი ვართ ამაში. ამასთან ერთად მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო და ძვირფასო ადამიანებო, რომ მიუხედავად იმისა, რაც მოხდა ეროვნულ მოძრაობაში, ჩვენი ლტოლვა — ჩვენი უპირველესი ლტოლვაა ისევ გამთლიანება, ისევ აღდგენა ერთიანობისა ყველა პოლიტიკურ პარტიასთან. ჩვენი უმთავრესი მიზანია ეროვნული შემწყნარებლობა, შერიგება, სიყვარული, ურთიერთგაგება.

იმპერიამ, იმპერიულმა ძალებმა დაქსაქსა ეროვნული მოძრაობა, სხვაგვარად ისინი ვერ მოახერხებდნენ გამარჯვებას, ვერ მოგვახვევდნენ თავს კოლონიურ მონობას, კომუნისტურ რეჟიმს, თუ არა ამგვარად! მაგრამ ჩვენც სწორედ ამითვე უნდა დავუპირისპირდეთ, ამით. სადაც იმპერია გათიშავს — იქ ჩვენ უნდა შევაერთოთ, სადაც იმპერია იწვევს შუღლს — ჩვენ სიყვარული უნდა ვთესოთ, სადაც იმპერია სიძულვილს თესავს — ჩვენ ურთიერთგაგება უნდა აღვადგინოთ.

აი, ეს არის ჩვენი მიზანი, მეგობრებო!

იმ ადამიანს, რომელიც გუშინ იმპერიას ემხრობოდა, გადავუხსნით გულს, მივესალმებით. მოვიდეს, დადგეს ჩვენთან ერთად — ვიყოთ ძმები. არ გვინდა მეტი არაფერი, მეგობრებო. არ გვინდა არაფრის დამახსოვრება, თუნდაც რომ დაეშავებინოთ ჩვენთვის, ველანძღოთ, რაც უნდა ყოფილიყოს — არ გვახსოვს არაფერი, მეგობრებო. ნუ ჩავიდებთ გულში ბოროტებას, ნუ ჩავიდებთ გულში ბოღმას, აი, ეს არის ჩვენი დევიზი, მეგობრებო.

მართალია, კომპარტია დავამარცხეთ ამ არჩევნებში, მაგრამ მე რუსთაველის მიმდევარი ვარ, როგორც ყოველი თქვენგანი და საერთოდ ქართველი ერი და ჩვენი კრედო, ჩვენი უდიდესი კრედო გადმოცემულია „ვეფხისტყაოსანში“. ესაა უდიდესი შემწყნარებლობა, უდიდესი შემრიგებლობა და სიყვარული ქრისტიანული, რომელიც გამოხატულია შემდეგ სტრიქონებში:

ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავსა
ესე ვპოვნე
ესაა́ო მამაცისა მეტისმეტი სიგულოვნე,
ოდეს მტერსა მოერიო,
ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე,
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა
დაიხსოვნე.

აი, ეს არის, მეგობრებო, ჩვენი ცხოვრების წესი. ამ გზით მიდიოდა ჩვენი უდიდესი წმინდანი, ჩვენი უსაყვარლესი ადამიანი მერაბ კოსტავა, ამ გზით მიდიოდა ცხოვრებაში და ამიტომ აღზევდა იგი მთელს საქართველოზე და დაჰნათის ზეციური საქართველოდან ჩვენს მოძრაობას, მეგობრებო. ეს დღევანდელი გამარჯვება — მისი გამარჯვებაა უწინარეს ყოვლისა და როგორც იგი ვიდოდა ცხოვრებაში, როგორი გზითაც იგი მიდიოდა, როგორც იგი იყო განწყობილი თვით მტრების მიმართ — ასევე ვიქნებით ჩვენ! ასევე ვიქნებით და დავამტკიცებთ, რომ ჩვენ მისი ნამდვილი მიმდევრები ვართ. ყველანი დავამტკიცებთ ამას!

მეგობრებო, ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნებით, რომ იმპერია მაინც არ იშლის ჩვენთან ბრძოლას ულირსი ხერხებით. თესავენ პანიკას — კომუნისტების, მილიციის, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების წრეებში, რომ თურმე ჩვენი უმთავრესი მიზანი ყოფილა მათ მიმართ შურისძიება. ნუთუ შეიძლება, მეგობრებო, ასეთი სულმდაბლობა, ასეთი ულირსი მეთოდებით ბრძოლა.

და ეს მაშინ, როდესაც ვიცით, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი მათგანი ჩვენ მხარში ამოგვიდგა. კომუნისტური პარტიის მრავალი წევრიც ჩვენს გვერდით დგას. მილიციის, პროკურატურის თანამშრომლები ეროვნული მოძრაობის გვერდით იდგნენ — ზოგი ფარულად, ზოგი აშკარად. განა ეს ჩვენ არ ვიცით, მეგობრებო? განა ამაზე ჩვენ თვალს ვხუჭავთ, მეგობრებო? აბა, ვინ არის აქ ისეთი, რომელსაც ჰქონდეს რაიმე გეგმა მათზე შურისძიების? არც ერთი ჩვენთაგანი არ არის. მე ვიცი ეს, მეგობრებო, მე ვარ უწინარეს ყოვლისა ყველაფრის ამის მოწმე და მე ვიცი ეს უპირველეს ყოვლისა.



ზვიად გამსახურდია:

# ჩვენი უმთავრესი მიზანია — ეროვნული შემწყნარებლობა, შერიგება, სიყვარული, ურთიერთგაგება

არ დავმალავ და ვიტყვი, ბევრი თვით აი ამ ხელისუფლებაში, რომელიც მართალია კრემლს ემსახურება, თვით აქაც ბევრია ჩვენი მხარის დამჭერი. ნუ დავხუჭავთ ამაზე თვალს, ნუ უკუვაგდებთ მათ. პირიქით — მოვიახლოვოთ, ჩავაყენოთ ეროვნული მოძრაობის და ეროვნული ძალების სამსახურში, ეს არის მთავარი მიზანი ახლა, ამაზე უნდა ვიმუშაოთ. რათა იმპერიამ ვერ მიაღწიოს ისევ განხეთქილებას, ვერ შეინარჩუნოს ის განხეთქილება, რომელიც დათესა თუნდაც იგივე კონგრესთან; იმ ხალხთან, ვისთანაც პოლემიკა გვაქვს.

მეგობრებო, მერაბ კოსტავა იტყოდა ხშირად: „საქართველოში ჩვენ გვინდა ნამდვილი დემოკრატია, ნამდვილი ჰაიდ პარკი“. მას უყვარდა ამ სიტყვის ხშირად ხმარება — „ჰაიდ პარკი“, მასში გულისხმობდა აზრის თავისუფალ გამოთქმას, თავისუფალ პაექრობას ყოველგვარი ურთიერთსიძულვილის გარეშე.

მაგრამ ვაი, რომ ამ იმპერიისგან მოწამლულნი ვართ ყველანი და ვერ განვთავისუფლდით ამ ჩვევისაგან. საკმარისია ურთიერთის მიმართ გამოვთქვათ განსხვავებული აზრი, რომ მტრებად ვიქცევით. არ არის ეს ლამაზი, მეგობრებო. გამოთქვას სხვამ ჩვენს შესახებ ცუდი აზრი, გამოთქვას ცუდი შეხედულება — მოდით, ნუ გავუხდებით სასტიკ მტრად, ნუ დავუპირისპირდებით. საქმით დავარწმუნოთ, რომ ის ცდება! მოდით, აი ასე ვიდოდეთ ჩვენ ცხოვრებაში, მოდით, ნამდვილი „ჰაიდ პარკი“ შევქმნათ, სადაც თვით უკიდურესად მწვავე შეხედულებაც კი ჩვენზე არ იქნება ჩვენთვის საწყენი — თუნდაც უარყოფითი შეხედულება. აი, ასე გაიმარჯვებს დემოკრატიის იდეალები საქართველოში.

მე იმას არ ვამბობ, მეგობრებო, რომ ღალატი ვაპატიოთ ვინმეს. მაგრამ მოდით დავამკვიდროთ მეტი შემწყნარებლობა გამოთქმული აზრისადმი, მეტი სიყვარული მოწინააღმდეგისადმი, მეტი ურთიერთგაგება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი ზოგჯერ ცდება. ზოგჯერ ცდება უნებლიედ, ზოგჯერ ცდება ემოციებით და იმ წუთისთვის და იმ წამისთვის, როდესაც მან უარყოფითი პოზიცია გამოავლინა ჩვენს მიმართ, მას ნუ შევიძულებთ, ეს ჩვენი დევიზი უნდა იყოს! და მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ეროვნული მოძრაობის გამთლიანებას. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ საქართველოს ერთ მთლიან მუშტად შეკვრას და იმპერიული ძალებისადმი დაპირისპირებას, სხვაგვარად არაფერი გამოგვივა.

ძალიან დიდი, დიდი ბრძოლა მოგველის, მეგობრებო. ბრძოლა არ დამთავრებულა. ბრძოლა ახლა დაიწყო და თუ ახლა არ იქნა ჩვენში ერთიანობა, ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ. ქართველი ერი, მთელი ქართველი ერი უნდა დაირაზმოს ამ პარლამენტის გარშემო. პარლამენტს უდიდესი საქმეები აქვს გასაკეთებელი. ასეთ პირობებში ჩვენ არ გვაქვს უფლება პიროვნულ ემოციებს ავყვეთ. ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ყოველგვარ პიროვნულზე. პიროვნულ წყენაზე მაღლა, მეგობრებო. პიროვნულ წყენას და შეურაცხყოფას ვინც ვერ აპატიებს მოყვასს, იმას პოლიტიკაში და ეროვნულ მოძრაობაში ადგილი არა აქვს. ეს გახსოვდეთ ყველას. ყველას გახსოვდეთ ეს.

ამას იმიტომ ვქადაგებ, რომ ჩვენს შორის აღვივებენ შუღლს. იმპერია ცდილობს ურთიერთშუღლისა და მტრობის მორევში ჩაგვახრჩოს. ეს ვერ უნდა შესძლოს მან! მას სურს, ამ გზით დაღუპოს ეროვნული მოძრაობა და საქართველო. ეს მან ვერ უნდა შესძლოს. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და მიზანი.

მოკლედ არჩევნების შესახებ: მეგობრებო, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ჩვენ წარმოგვადგინონ როგორც ფაშისტები, მუსოლინის მიმდევრები, რომ თითქოს გადაწყვეტილი გვაქვს არაქართველების გაულეტა, გაგდება საქართველოდან, მეტი მუშაობაა საჭირო არაქართველებთან. უნდა განუმარტოთ მათ ჩვენი ეროვნული მოძრაობის გზა. ბევრ ადგილას შეიძლება ჩატარდეს ხელახალი არჩევნები. ცდილობენ, არაქართველებში შიში გააღვივონ. თუ ჩვენს კანონიერ უფლებებს ვიცავდით, თუ ჩვენ მიწების გამყიდველების წინააღმდეგნი ვიყავით, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ არაქართველ მოსახლეობას ვემუქრებით. ვიცავდით და დავიცავთ ჩვენს უფლებებს. სხვათაშორის, გარკვეულ წარმატებებსაც კი მიაღწიეს. მაგრამ, როგორც უნდოდათ, ისეთი მასშტაბებით ვერა. სირცხვილი იმ კომუნისტებს, რომლებიც ამას სჩადიოდნენ, რომლებიც აშინებდნენ ჩვენით არაქართველ მოსახლეობას.

ისიც იმპერიის გამარჯვებაა, რომ სამაჩაბლოში ძალიან აგრესიულად დახვდნენ უცხოელ დამკვირვებლებს. ძალიან დიდი წინააღმდეგობა იყო. ამ რაიონებში უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები. ასევე მოხდა ახალციხეში. ხალხს ეუბნებოდნენ, რომ არაფორმალები თქვენი მტრები არიანო: აგიტაცია გრძელდებოდა თვით არჩევნების დღესაც.

გამარჯვება უდიდესია, მაგრამ პრინციპის ამბავია: რატომ უნდა თქვან უცხოელებმა — ქართველებს იმიტომ არ დაუჭირეს მხარი ამ რეგიონებში, რომ ისინი არაქართველების მტრები არიან?

ჩვენ ჩვენი სამართლიანობა უნდა დავამტკიცოთ. ჩვენ არ გვინდა რამის გაყალბება, ჩვენ სამართლიანი არჩევნების მომხრენი ვართ.

დაზუსტებული პროცენტები არ არის ჯერ გარკვეული, მაგრამ ზოგან 80%-ზე ნაკლები რომ არ არის — ეს ჩვენ ვიცით. ეს ოდნავ საწყენიცაა, მეგობრებო. ჩვენ ხომ 100 %-ს ველოდით.

სხვა პარტიებს ჩვენ შევთავაზეთ ერთ ბლოკში ყოფნა, რათა ერთად გვებრძოლა. არ მოინდომეს და თავად წააგეს. მაგრამ ყველას გაუწვდით ძმობის ხელს, არავის ზურგს არ შევაქცევთ. ყველა ნიჭიერ, ყველა უნარიან ადამიანს მოვიწვევთ თანამშრომლობისათვის, რომელი პარტიისა და რომელი მიმდინარეობის წევრიც არ უნდა იყოს.

აი, გვეკითხებიან — კომუნისტებს მოხსნიან, გააძევებენ სამსახურიდან? კარგი სპეციალისტი, იმის გამო რომ ის ჩვენი ბლოკის წევრი არაა, არ მოიხსნება სამსახურიდან. მაგალითად, აკადემიკოსი, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი ხეჩინაშვილი კომუნისტია და რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი იფიქრებს ამის გამო მის მოხსნას თანამდებობიდან — მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტია. მაგრამ თუკი ვინმე ისეთი იჯდებოდა იქ, რომელიც თვისი უნიჭობით ღუპავს ავადმყოფს, უვიცია და მხოლოდ კომპარტიის ძალით არის იქ გაბატონებული — იმას კი მოვხსნიდით სამსახურიდან. აი, ეს არის ჩვენი პრინციპი. კი, ბატონო, თუ უყვართ კომპარტია, იყვნენ და ილოცონ იმ მარქსზე და ლენინზე და იყვნენ სამუდამოდ იქ. ასე, რომ თავისუფლება იქნება შეხედულების, რწმენის, აღმსარებლობის, რელიგიისა. საქართველოს სხვაგვარად არც უარსებია. ეს არის ჩვენი იდეალი. სრული თავისუფლება, სრული შემწყნარებლობა.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა ეროვნული დისციპლინა. პასუხისმგებლობაა საჭირო. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენიანს უფრო მეტს მოეთხოვთ, უფრო მკაცრად, ვიდრე გარეშეს და ვიდრე მოწინააღმდეგეს, რადგან ჩვენიანს უფრო მეტი მოეთხოვება, რადგან თუ მან დადო თავი ეროვნული მოძრაობისათვის და ეროვნული საქმისათვის, კეთილი ინებოს და თავისი ვალი აღასრულოს პირნათლად და იყოს ყოველგვარი კრიტიკის გამძლე და ამავე დროს იყოს სრულყოფილი, სუფთა და თავდადებული.

ეს არის ჩვენი პრინციპები და იმასაც არ დავივიწყებთ, რომ დღეს ჩვენი უმთავრესი მიზანი არის საქართველოს რელიგიური და ეროვნული აღორძინება, სარწმუნოებრივი აღორძინება, ჭეშმარიტი ქრისტიანობა, მეგობრებო. ისტორიულად საქართველო მუდამ ამით იმარჯვებდა, დღესაც ამით გავიმარჯვეთ.

გახსოვდეთ, რომ არ ყოფილიყო ზენა ძალის მფარველობა, ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით. ღვთის მფარველობის იმედი მუდამ გქონოდეთ ყველას და გახსოვდეთ, რომ მთავარია ეს. ამის გარეშე ვერ გავიმარჯვებთ. თუ არ ვიქნებით მორწმუნენი და უზენაესი ძალის მოსავნი. და ისევ რუსთაველს მოვიშველიებ, — რადგან ის არის ჩვენი ფარი, ჩვენი ხმალი და ჩვენი გამარჯვების პირველი საწინდარი. ამ სულით მიდიოდა ქართველი და იმიტომ მოაღწია დღემდე:

„კაცო, ძალსა ნუ იქადი ნუცა მოჰკვეხ
ვითა მთრვალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს
ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე
დასწვავს ნაბერწკალი,
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს,
შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხმალი“.

**დიდთა ხეთა მოერევის, დიდ იმპერიას მოერევის მცირე ნაპერწკალი — საქართველო!**

**გაუმარჯოს იმპერიის დამხობას!**

**გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!**

---

სიტყვა, წარმოთქმული 1990 წლის 29 ოქტომბერს, თბილისში, მთავრობის სახლის წინ გამართულ საზეიმო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — გამარჯვებას.

# თავისუფლება ძვირადი სიტყვაა

**„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" დეპუტატობის კანდიდატებს, ბატონ ნუგზარ მოლოდინაშვილს და ბატონ ზვიად გოკუჩავას, ესაუბრება მარიკა აბაშიძე**

**— რით დავიწყოთ?**

**ნუგზარ მოლოდინაშვილი:** უპირველეს ყოვლისა, მინდა მივულოცო ქართველ ერს ეს დიდი გამარჯვება, ეს წინ გადადგმული ნაბიჯი. ამომრჩევლებთან შეხვედრებში არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ქართველ ერს მრავალჯერ გაუკეთებია არჩევანი და ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენი წინაპრები ყოველთვის ახერხებდნენ კრიტიკულ სიტუაციაში სწორი არჩევანის გაკეთებას. დღესაც გაკეთდა ეს სწორი არჩევანი. ფაქტობრივად ოპოზიციამ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება და პარლამენტი დემოკრატიული წესით დაკომპლექტდა იმ ძალებით, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისათვის იბრძოდნენ ყოველთვის და ამ გზისთვის არასოდეს ულალატიათ.

**ზვიად გოკუჩავა:** ჩემის მხრიდანაც მინდა მივულოცო ქართველ ერს ეს ბრწყინვალე გამარჯვება, რამეთუ ეს არის კიდევ ერთი უდიდესი ნაბიჯი, გადადგმული საქართველოს რეალური თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე და ის უპრეცენდენტო მოვლენა, რაც 28 ოქტომბერს მოხდა საქართველოში, ხალხის სიბრძნის დასტურია.

**— ორიოდ სიტყვით გვითხარით, როგორ წარიმართა თქვენი წინასაარჩევნო ბატალიები.**

**ნ. მ.** მოგახსენებთ. 59-ე ყვარლის საარჩევნო ოლქში ვიყავი წარდგენილი მრგვალი მაგიდის მიერ დეპუტატობის კანდიდატად. დაპირისპირება მოგვიხდა არჩევნებში მონაწილე თოთხმეტივე ბლოკის წარმომადგენლებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ჩვენსა და კომუნისტურ პარტიას შორის, რომლის კანდიდატიც არის რაიკომის პირველი მდივანი თემურ ოსეფაშვილი, ამავე დროს, იგი ალმასკომის თავმჯდომარეც არის. პიროვნულად მან 7 პროცენტით მაჯობა, მაგრამ ეს მაინც არ არის ნამდვილი გამარჯვება, რადგან ყველა ქართულ სოფელში და მსხვილ დასახლებაში ფაქტობრივად გამარჯვება იყო ჩემს მხარეს, ასე მაგალითად, შილდაში, ახალსოფელში, გავაზში.

პირწმინდად წავაგე ლეკურ და ოსურ სოფლებში. აქ ჩემმა მთავარმა მოწინააღმდეგემ მოიპოვა 1700 ხმა, მე კი მხოლოდ და მხოლოდ 3. ისიც, როგორც მითხრეს, ქართველები ყოფილან, რომლებიც შემთხვევით ცხოვრობენ იმ სოფლებში. დღესდღეობით ასეთი მდგომარეობაა — 6546 ხმა მე მოვაგროვე. 8208 ხმა მოაგროვა მან, სხვაობა, რითაც მიგებს, 7 პროცენტს შეადგენს. 50 პროცენტზე მეტი ვერც ერთმა ვერ მოვაგროვეთ და მეორე ეტაპზე გავაგრძელებთ ბრძოლას ჩვენ ორი. დანარჩენი კანდიდატებიდან ყველაზე მეტი ხმა მოაგროვა რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენელმა თეიმურაზ შაოშვილმა — 2141. რაც შეეხება პროპორციულ არჩევნებს, მრგვალმა მაგიდამ ამ ოლქშიც აჯობა კომუნისტურ პარტიას. 10082 ხმა მოიპოვა მრგვალმა მაგიდამ, ხოლო კომპარტიამ მოაგროვა — 7921. აი, ასეთი მდგომარეობაა ჯერჯერობით. მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ. აქ მაინც მოხდა ის, რომ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა ხმების ნაწილი დამაკარგვინა, თუნდაც იმის გამოც, რომ ყველა ეს კანდიდატი იყო იმ რაიონის მკვიდრი და ამომრჩეველთა შორის ყავდა ნათესავები და ახლობლები. ჩემთვის ისიც უთქვამთ, რომ სიმპათიები მთლიანად მრგვალი მაგიდის მხარეზე იყო, მაგრამ მათ უბრალოდ ნათესაური მოსაზრებების გამო მაინც ამა თუ იმ პიროვნებას მისცეს ხმა, მაგრამ პარტიული სიით ჩვენს ბლოკს დაუჭირეს მხარი.

**ზ. გ.** რა თქმა უნდა, ბევრი ის ნიუანსი, რაზეც ბატონმა ნუგზარმა ილაპარაკა, ჩემი წინასაარჩევნო ბატალიებისთვისაც იყო დამახასიათებელი. თიანეთის 52-ე საარჩევნო ოლქში დასახელებული იყო 8 კანდიდატი სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიდან, მაგრამ, ფაქტობრივად, მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება მოხდა მრგვალი მაგიდის კანდიდატს, ე. ი. ჩემსა და კომუნისტური პარტიის კანდიდატს, ბატონ ალექსანდრე შუშანაშვილს შორის, რომელსაც ამჟამად რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის თანამდებობა უკავია. უმთავრეს სიძნელეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მე ვარ არამკვიდრი წარმომავლობის. ვარ დასავლეთ საქართველოდან და კენჭს ვიყრი მთაში. ჩემს კონკურენტს ამ თვალსაზრისით, დიდი უპირატესობა ჰქონდა, რამეთუ თავად იმ რაიონის მკვიდრია. ხშირად იმასაც მეკითხებოდნენ — რატომ იყრით კენჭს თიანეთში და არა თქვენს მშობლიურ სამეგრელოს რაიონში? მიზეზი თიანეთში ჩემი კენჭისყრი-



სა გახლდათ ის, რომ საქართველო არის ერთიანი და არ შეიძლება მომავალ თავისუფალ საქართველოში იყოს ეს კუთხური დაყოფისკენ მიმართული ტენდენცია, რაც ამ 70 წლის განმავლობაში მძაფრად გააღვივეს ბოლშევიკებმა და ამით დღესაც ცდილობენ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას. ფაქტობრივად უმთავრესი ბრძოლა მიმდინარეობდა მრგვალ მაგიდასა და კომპარტიას შორის და ჩემდა სასიხარულოდ, იმ ოლქში, სადაც მე ვიყრიდი კენჭს, მრგვალმა მაგიდამ გადამწყვეტი უპირატესობით გაიმარჯვა. პირადად მე კი მაჟორიტარულ სისტემაში, როგორც მრგვალი მაგიდის წარმომადგენელმა, 200 ხმით ვაჯობე ბატონ ალექსანდრე შუშანაშვილს. თიანეთში აღმომაჩნდა 2369 მხარდამჭერი, ხოლო ბატონ ალექსანდრეს — 2170. ჩვენ ბრძოლა გვიხდება მეორე ტურში. მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას. ბატონ ზვიად გამსახურდიას სტრატეგია, ის გეგმა და ის გზა, რითაც მრგვალი მაგიდა წარსდგა წინასაარჩევნო პერიოდში ქართველი ხალხის წინაშე რომ სავსებით გამართლებულია, იმითაც დასტურდება, რომ მე, იმ რეგიონის არამკვიდრმა ადამიანმა, სადაც კენჭს ვიყრიდი, ხმათა უმრავლესობა მოვიპოვე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საბოლოო გამარჯვებისათვის, ამიტომ ბრძოლას ვაგრძელებ. არჩევნები 11 ნოემბრისთვის არის დანიშნული. მე იმედი მაქვს, რომ თიანეთელი ხალხი რეალისტურად შეაფასებს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას საქართველოში და საკუთარ სწორ არჩევანს გააკეთებს.

**— როდესაც ვლაპარაკობთ კუთხურობაზე, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ მაჟორიტარული არჩევნების დროს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლის დასახელება ამა თუ იმ რაიონში, საქმის ერთგვარი გაადვილებისთვისაც კეთდება. მას იქ მეტი მხარდამჭერი ეყოლება ნათესავებისა, თუ ახლობლების სახით.**

**ზ. გ.** რა თქმა უნდა. სწორედ ამას დაეყრდნო კომუნისტური პარტია, თუნდაც იმ ოლქში, სადაც მე ვიყრიდი კენჭს. თითქმის თვრამეტივე უბანში შევხვდი ჩემს ამომრჩევლებს და ყველგან განსაკუთრებით აღვნიშნავდი, რომ პიროვნულად ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვუპირისპირდებით ჩვენს კონკურენტებს, ჩვენ დაპირისპირებულნი ვართ კომპარტიის მავნე იდეოლოგიასთან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ბატონი ალექსანდრე დამოუკიდებელი კანდიდატი რომ ყოფილიყო თიანეთელი ხალხის წინაშე მას, ალბათ, ვერავინ წინ ვერ დაუდგებოდა, მაგრამ რაკი მის უკან კომუნისტური პარტია იდგა, ჩემი მოწინააღმდეგის აქციები დაეცა. ეს არაერთგზის მითქვამს პირადად ბატონი ალექსანდრესთვის წინასაარჩევნო შეხვედრების დროს.

**— ბატონო ნუგზარ, თქვენ რომელი კუთხიდან ბრძანდებით წარმოშობით?**

— ჩემი მშობლები ბოდბისხევიდან არიან. მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ კახელი კაცი ვარ. ეს კითხვა ჩემთვისაც მრავალჯერ დაუსვამთ, რატომ მაინცდამაინც ყვარელშიო. მე მიმაჩნია, რომ ქართველ კაცს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში თანაბრად უნდა შეეძლოს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა, ამ თვალსაზრისით საქართველოს კუთხურად დაყოფის პრინციპული წინააღმდეგი ვარ. მეორეც, უნდა გავითვალისწინოთ, მე ყვარლის მოსახლეობის კანდიდატი არა ვარ, არამედ ვარ მრგვალი მაგიდის კანდიდატი. ასე, რომ თვითონ ამ ბლოკმა ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ მე მებრძოლა ყვარლის რაიონში. სხვათა შორის, ამას გაგებით მოეკიდა ყვარლის მოსახლეობა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ, ნამდვილად ნდობა გამომიცხადეს და საკმაოდ დიდი რაოდენობის ხმები მოვაგროვე. ფაქტობრივად ორნი დავრჩით. თემურ ოსეფაშვილი იქაური მკვიდრია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ 7 პროცენტი არ წარმოადგენს გადაულახავ ზღუდეს. ყველაფერი ეს კი იმან მოიტანა, რომ მრგვალი მაგიდის რეგიონულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ყვარელში არიან, თავისი საქმით, ყოველდღიური მუხლჩაუხრელი მუშაობით დაამტკიცეს ერთგულება ხალხისადმი, ქართველებისადმი და ამიტომ იყო, რომ ქართულ რაიონებში ჩვენ ყველგან გავიმარჯვეთ.

**— ამ მუშაობაში თქვენ მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდს არ გულისხმობთ, ალბათ.**

— არა, რასაკვირველია. ვგულისხმობ მთლიანად დაახლოებით 2 წელს. ამ ხნის მანძილზე მათ დაამტკიცეს ერთგულება დამოუკიდებლობის პრინციპებისადმი და გარდა ამისა, ჭირშიც და ლხინშიც მშრომელ ადამიანს ედგნენ გვერდში, ამიტომ მე ჩემი წინასაარჩევნო კამპანია ძალიან გაადვილებული მქონდა. შესამჩნევად გაადვილებული. აქედან გამომდინარეობს ჩემი გამარჯვებაც. მე გამარჯვებად ვთვლი მაინც.

**— მე ასე მესმის, ოლქებში კანდიდატების დასახელებისას მათი კუთხური წარმომავლობის პრინციპული გაუთვალისწინებლობაც ერთგვარად გამოხატავს მრგვალი მაგიდის იდეას საქართველოს მთლიანობის შესახებ.**

**ზ. გ.** რა თქმა უნდა. ჩვენ არ გვიღალატნია ამ პრინციპისთვის და კანდიდატთა დასახელების დროსაც ბოლომდე ერთგულად მივყვებოდით მას.

**— ბატონო ნუგზარ, რა განსხვავებაა მერაბ კოსტავას საზოგადოებასა და მერაბ კოსტავას ფონდს შორის და რა კონკრეტულ საქმიანობას ეწევა მერაბ კოსტავას საზოგადოება, რომლის გამგეობის წევრიც თქვენ ბრძანდებით?**

— მერაბ კოსტავას საზოგადოება არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ბრძოლის ველზე შეიქმნა სამაჩაბლოში, ამა წლის 19 იანვარს. გარკვეული მიზეზების გამო აუცილებელი იყო ილია მართლის საზოგადოებიდან, რომელიც იბრძოდა სამაჩაბლოში, გამოყოფილიყო რაღაც ბირთვი და ჩამოეყალიბებინა ეს საზოგადოება. ძირითადი მიზანი მაინც ის იყო, რომ ამოდგომოდა გვერდში ბატონ ზვიად გამსახურდიას და ჰელსინკის კავშირს პოლიტიკური ორგანიზაცია ისე, როგორც თავის სიცოცხლეში ედგა მას გვერდში ბატონი მერაბ კოსტავა. რამდენად მოვახერხეთ, ეს ხალხის განსასჯელია, მაგრამ დღეს მერაბ კოსტავას საზოგადოება ამ ფუნქციას ასრულებს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რა სხვაობაა მერაბ კოსტავას საზოგადოებასა და მერაბ კოსტავას ფონდს შორის. მერაბ კოსტავას სახელობის განსახლებისა და დახმარების ფონდი არის საქველმოქმედო საფინანსო ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთ მთავარ, ძირითად მიზანს წარმოადგენს მეტად მწვავე დემოგრაფიული სიტუაციის ქართველთა სასიკეთოდ შეცვლა და გამოსწორება. ამას ის აკეთებს პრაქტიკულად. ფონდს მხარში უდგას მერაბ კოსტავას საზოგადოება და მუშაობის ლომის წილი ფაქტობრივად საზოგადოების წევრების მხრეზზე გადადის. მაგრამ საზოგადოებას, რასაკვირველია, ამ დარღვეული დემოგრაფიული წონასწორობის ქართველთა სასარგებლოდ აღდგენის გარდა აქვს პოლიტიკური და სოციალური მიზნების ფართო სპექტრი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოება იყო ერთ-ერთი ინიციატორი მრგვალი მაგიდის შექმნისა და თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ერთიანი ბლოკის ჩამოყალიბებაში. ამასთანავე საზოგადოება ქართველთათვის ყველაზე მწვავე რეგიონებშია წარმოდგენილი და იცავს მათ ინტერესებს. ფონდის და საზოგადოების ფუნქციები გამიჯნულია, მაგრამ საზოგადოება ფონდს ეხმარება უანგაროდ, თუნდაც პროპაგანდისტული თვალსაზრისით.

საზოგადოების პროგრამა მთლიანად აგებულია ბატონი მერაბის კონცეფციაზე, რომელიც მის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში".

**— არჩევნებში ჩაბმული თითქმის ყველა პარტია დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. ყოველ შემთხვევაში, საბოლოო მიზნის ერთობა მკვეთრად არის გამოხატული. რით განსხვავდება ამ ორგანიზაციებისაგან მრგვალი მაგიდა?**

**ნ. მ.** ამ კითხვას ხშირად სვამენ. ბატონ ზვიადს ტელესტუდიაშიც დაუსვეს ეს კითხვა. მან უპასუხა, რომ მხარი დაუჭირეთ და ხმა მიეცით არა სიტყვას, არამედ საქმეს და საქმემან შენმან გამოგაჩინოსო. არ მეგულება ბრძოლის უფრო ფართო სპექტრში წარმოდგენილი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, ვიდრე ეს იყო მრგვალ მაგიდაში შემავალი პარტიები. მათ თავიანთი ყოველდღიური საქმით დაამტკიცეს, რომ ერთგულნი იყვნენ იმ იდეალებისა, რომლებსაც დეკლარირებისა და თეორიების სახით აყალიბებდნენ. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ენას არა აქვს ძვალი. შეიძლება მრავალ რამეს შეპირდე ხალხს, მაგრამ ბრძენი იმით განირჩევა ბრიყვისაგან, რომ შეპირების მიღმა იცქირება და აფასებს საქმეს, ბრიყვი რომ ყოფილიყო, ის აუცილებლად მოტყუვდებოდა და მრავალ-მრავალ ჭრელ-ჭრელ დაპირებებს შეიძლება მართლაც გამოეწვია ის, რომ ხმები გაყოფილიყო და საბოლოოდ პარლამენტში დომინანტი გამხდარიყო კომპარტია. ეს იქნებოდა სავალალო შედეგი. ამიტომ არის ბრძენი ქართველი ხალხი, რომ ეს არ დაუშვა.

**ზ. გ.** საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ — ეს არის ის უმთავრესი თეზისი, ის უმთავრესი პოსტულატი, რასაც მრგვალი მაგიდა ქადაგებს, ხოლო ქართველმა ერმა ზუსტად ის არჩევანი გააკეთა, რომელიც მოცემულ პოლიტიკურ მომენტში ყველაზე რეალისტური და მისაღებია, ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებაა, რამეთუ მრგვალი მაგიდის წევრმა ორგანიზაციებმა უკვე საქმით დაუმტკიცეს ქართველ ერს, რომ ისინი მზად არიან უკომპრომისოდ იბრძოლონ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისათვის და დაუპირისპირდნენ ყველა იმ იმპერიულ ძალას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე ეღობება.

**ნ. მ.** საქმე ისაა, რომ არის ტაქტიკური და სტრატეგიული სხვაობა ჩვენი გზისა სხვა პარტიებთან შედარებით, როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე ტაქტიკური გზა არსებობს თავისუფლების მიღწევისა — კონსტიტუციური, ეროვნული შეურიგებლობის სტრატეგია და სხვა ფორმები. მრგვალი მაგიდის უპირატესობაა, რომ ის ყველა ამ გზის სინთეზს წარმოადგენს. ის მთლიანობაში განიხილავს თავისუფლებისთვის ბრძოლას. არ შეიძლება რომელიმე გზას მიეცეს უპირატესობა. გარკვეულ ეტაპზე ბრძოლის ის ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც იმ ეტაპისთვის არის ოპტიმალური. ეს არის განმასხვავებელი. არ შეიძლება, მაგალითად, ხელი აიღო დაუმორჩილებლობის სტრატეგიაზე, არ შეიძლება, ამავე დროს, უარყო პარლამენტური გზით ბრძოლა. ჩვენ გვქონდა მოლაპარაკებები, იყო მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ოპოზიცია ჩამოყალიბებულიყო ერთ საერთო ფრონტად, მაგრამ ამ პრინციპულმა სხვაობებმა მეთოდის მხრივ, ტაქტიკასა და სტრატეგიაში, გამოიწვია ის, რომ დაშორდა ერთი ნაწილი და ჩვენ ვერ გავერთიანდით. მათ არჩიეს ცალკე გამოსულიყვნენ საკუთარი სტრატეგიით. ისინი ჩვენ ზედმეტად რადიკალებად აღგვიქვამდნენ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ თუ ვინმე არის კონსერვატორი და თუ ვინმეა ზომიერი, გონიერების თვალსაზრისით, ეს უპირველესად უნდა ითქვას, ალბათ, მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ლოიალურები ვართ, არც იმას ნიშნავს, რომ ულტრა რადიკალები ვართ. ვართ ისეთნი, როგორიც უნდა ვიყოთ გარკვეულ მომენტში, რათა მივაღწიოთ ოპტიმალურ შედეგებს.

**ზ. გ.** ჩემთვის მისაღებია მხოლოდ ის პრინციპი, რომ საქართველოს განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციური გზით და არა რევოლუციურით, ანუ ერთი თვისობრივი მდგომარეობიდან მეორე თვისობრივ მდგომარეობაში გადასვლით, მშვიდობიანი გზით. თუ რას მოიცავს ეს მშვიდობიანი ფორმები და მეთოდები, ბატონმა ნუგზარმა უკვე



მოგახსენათ. იმ 7 სხვადასხვა ოპოზიციურ ორგანიზაციას, რომელიც ამჟამად მრგვალი მაგიდის ბლოკშია გაერთიანებული, რა თქმა უნდა, თავისი პოლიტიკური მრწამსი აქვს, მომავლის თავისი ხედვა, მაგრამ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ისინი ერთ პლატფორმაზე დგანან, მათ საერთო სტრატეგია აქვთ, საერთო ტაქტიკა, ხოლო ის, რომ 28 ოქტომბერს ქართველი ხალხის უმეტესობამ მრგვალ მაგიდას მისცა ხმა, ჩვენ გვაძლევს საშუალებას რეალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ, აუჩქარებლად გავაგრძელოთ ბრძოლა, ევოლუციური გზით სვლა საქართველოს ჭეშმარიტი პოლიტიკური თავისუფლებისაკენ.

**ნ. მ.** ქართველმა ერმა მრგვალ მაგიდაში დაინახა ცოცხალი შემოქმედებითი ძალა და არა დოგმატიკოსების სექტა, რომელიც გარკვეულ დოგმებსა და ჩარჩოებს ვერ გადადის და მისი სპექტრი შეზღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დეპუტატობის კანდიდატები

დულია. იმიტომ მისცა ხმა და იმიტომ არის მოპოვებული ასეთი გამარჯვება, რომ ქართველი ერი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის ცოცხალი შემოქმედებითი ძალა იყო, ის არასოდეს არც ერთ დოგმაში არ ჩაკეტილა.

**— თავისუფლება ერთობ ტევადი სიტყვაა, მისი პროფანაციაც შეიძლება. არსებობს სიტყვის თავისუფლება და არსებობს თავისუფალი ყოფაქცევის ქალი, არსებობს ეროვნული, სულიერი თავისუფლება და არსებობს სექსუალური თავისუფლება...**

**ზ. გ.** ქართველი ერი არის ტრადიციული სულის მატარებელი ერი. პიროვნების თავისუფლება, რა თქმა უნდა, ჩვენი მოძრაობის ქვაკუთხედია, მაგრამ ცხადია, ეს ყველაფერი დაფუძნებული უნდა იყოს ქართულ ხასიათზე, ქართულ სულზე და იმ ქართულ ტრადიციაზე, რომელიც არაჩვეულებრივად ჰარმონიულია.

**ნ. მ.** თვით ქართული კულტურა ხომ სინთეზს წარმოადგენს სხვადასხვა კულტურებისას, უმთავრესად კი აღმოსავლურისა და დასავლურის, საოცარი შეხამებაა, ყველაფერი კარგი მას შეთვისებული აქვს და შემდეგ თავად აქვს შემოქმედებითად გამდიდრებული და სხვა სიმაღლეზე აყვანილი. აქედან გამომდინარე, მას ინსტინქტურად აქვს სწრაფვა შემოქმედებისაკენ, ცოცხალისაკენ და არა გაქვავებულისაკენ, სქემატურისაკენ. ეს, ალბათ, ეროვნული თვისებაა.

**ზ. გ.** ყოველივე ეს ყველა დონეზეა გამოვლენილი სარწმუნოებაში, კულტურაში, ჩვენს სუფრაზეც კი. ბოლო წლებმა ეს ჰარმონია დაარღვია და შერყვნა.

**ნ. მ.** ბუნებრივი კალაპოტიდან ამოაგდო ქართველობა.

**ზ. გ.** სწორედ ამიტომ ვამბობთ ჩვენ — გაუმარჯოს თავისუფალ, ერთიან, დემოკრატიულ, ქრისტიანულ საქართველოს, რათა დავუბრუნდეთ ჩვენს ჰარმონიას, ჩვენი ცხოვრების წესს, რაც ჩვენს მამაპაპას ჰქონდა. დავუბრუნდეთ იმას, რაც წაგვართვეს, რათა ჩვენს შვილებს, იმ თაობას, რომელიც დღეს იბადება საქართველოში, მიეცეს საშუალება ტრადიციებთან დაახლოებისა; დაახლოებისა ქართულ მიწასთან, ქართულ ცასთან, ქართულ მზესთან...

**— ესეც აღვნიშნოთ — ვისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა არის მარტოოდენ, ან უმთავრესად, ხშირი მგზავრობა საზღვარგარეთ, კარგად მოწყობილი ყოფა, რაც უნდა ითქვას, რომ აუცილებელია, მაგრამ ვისთვის, უპირატესად და უპირველესად, ეს არის რუდუნებით ნატარები პერსპექტივა იმდაგვარი სულიერი ამაღლებისა, რომ საქართველოში, მეოცე საუკუნის მიწურულს აღდგეს ბერ-მონაზვნური ტრადიციები.**

**ნ. მ.** რასაკვირველია, ყველა ერი ღირსია თავისუფლებისა და უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ მე არ მეგულება ერი, რომელსაც შეეფერებოდეს თავისუფლება ისე, როგორც ეს უხდება ქართველს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსთვის და ქართველისთვის თავისუფლება არის ნორმალური, ბუნებრივი ყოფის ერთადერთი პირობა.

**— თქვენ იცით რომელიმე ერი, ვისთვისაც ეს არ არის ნორმალური?**

**ნ. მ.** მე ვიცი ის, რომ მონობა სხვადასხვა დოზით რყვნის სხვადასხვა ერს, ერთი შეიძლება სრულიად დაღუპოს და მეორე შეიძლება არ დაღუპოს სრულიად. როდესაც მე ვამბობდი, რომ ქართველს ძალიან უხდება თავისუფლება და მისი ბუნებრივი არსებობის ერთადერთი პირობა არის-მეთქი, ამაში იმ აზრს ვდებდი, რომ ქართველს არათავისუფლება საერთოდ აპირუტყვებს, ყველაფერს აკარგვინებს — ქართველობასაც, ტრადიციასაც და სხვა ღირსებებსაც, ამიტომ იყო, რომ ის ყოველთვის გაშმაგებით იბრძოდა თავისუფლებისთვის და ერთი დღითაც არ შეგუებია მონობას. 70 წელი და 200 წელი რომ ჩვენ სახელმწიფოებრიობა არა გვაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი მშვიდად მიმდინარეობდა. ერთი დღითაც არ გაუვლია გულში ჭეშმარიტ ქართველს, რომ ის შეიძლება საბოლოოდ შეგუებოდა ამ ვითარებას, ის ყოველთვის იბრძოდა თავისუფლებისათვის იმიტომ, რომ ეს არის ერის თვითშენარჩუნების ინსტინქტი. ის გრძნობდა, რომ თუ ოდესმე შეეგუებოდა მონობას, გადაშენდებოდა, მოკვდებოდა. თვითშენარჩუნების ამგვარი ინსტინქტი მძაფრად არის გამოხატული ქართველში და საქართველოში.

**ზ. გ.** მე მინდა თავისუფლება იმისთვის, რომ ქართველმა კაცმა, ქართულმა გენმა ნახოს შესაბამისი ნიადაგი, რომელზეც მას მიეცემა საშუალება, სრულად მოახდინოს თავისი შინაგანი ენერგიის, პოტენციის რეალიზება, რათა ქართველი ერი უახლოეს მომავალში გახდეს სრულუფლებიანი და თანასწორი წევრი იმ დიდ მსოფლიო ოჯახში, რასაც სამყარო ჰქვია. მხოლოდ ეს მოგვცემს ჩვენ გადარჩენის საშუალებას. თითოეული ინდივიდი გადარჩება იმდენად, რამდენადაც მთელი ერი გადარჩება.

**ნ. მ.** პირადად მე, სრულად განვითარებული და ჰარმონიული ინდივიდი სამშობლოს გარეშე არ წარმომიდგენია. როდესაც მისი ერი იქნება სახელმწიფოებრივად თავისუფალი, მაშინ შეძლებს იყოს ის პიროვნულადაც თავისუფალი და მიაღწიოს ისეთ მწვერვალებს, რომელსაც მიაღწია თავისუფლებისა და აღზევების პერიოდში ქართულმა კულტურამ რუსთაველის სახით. უსამშობლოდ კოსმოპოლიტი ინდივიდი (კოსმოპოლიტობის ცუდი გაგებით) სულიერ სიმაღლეებს ვერ მიაღწევს. ყველა ადამიანი, სამშობლოს ნამდვილი დამფასებელი და, ასე ვთქვათ, სამშობლოს სტრუქტურაში ჩამჯდარი, ერთდროულად დიდი ჰუმანისტია და კოსმოპოლიტიც, მაგრამ ცუდი გაგებით კოსმოპოლიტი გაუცხოებულია, მას სამშობლოს გრძნობა არა აქვს. მე არ ვიცი, რატომ ჰქვია მას კოსმოპოლიტი. მას, ალბათ, რაღაც სხვა, ცუდი სახელი უნდა ერქვას.

**— იქნებ კოსმოპოლიტიზმი თავისთავად ნეგატიური აზრის შემცველიც არის.**

**ნ. მ.** არა მგონია; კოსმოპოლიტი პლანეტის ადამიანს ნიშნავს, მაგრამ პლანეტის ადამიანი რომ იყო, რომელიმე კუთხის შვილი უნდა იყო და ის კუთხე ჩვენთვის სამშობლოა. აქედან იწყება სამყაროს სიყვარული. ყველაფერი კი ბავშვობიდან იწყება, ჩვენი საოცარი ბავშვობიდან, რომელიც სავსე იყო ზღაპრებით, „აი ია“-თი, აქედან იწყება ყველაფერი, მსოფლიოს შეგრძნებაც და მსოფლიოს მოქალაქეობაც. თუ ადამიანს ეს ფესვები არ უდგას, ის კოსმოპოლიტი კი არ არის, ის არის ცაში მოფარფატე უმწეო ფოთოლი. ეს ფოთოლი ქარმა შეიძლება გადააგდოს პლანეტის ნებისმიერ ადგილას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ფოთოლი ცოცხალია. ქარი მიაფარფატებს კოსმოპოლიტ, უფესვო ადამიანს, რომელსაც სამშობლოს გრძნობა არა აქვს გამძაფრებული, რომლისთვისაც ეს უმტკივნეულესი არ არის.

**— ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულობის გარეშე ადამიანი შეიძლება ფიზიკურად გადარჩეს, მაგრამ ინდივიდუალობას ვერ შეინარჩუნებს.**

**ნ. მ.** სულიერად ვერ გადარჩება. ფიზიკური გადარჩენაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენო, ძალიან შორს და ღრმად თუ წავალთ მსჯელობაში.

**— ბოლოს რას გვეტყვით?**

**ნ. მ.** ახლად არჩეულ პარლამენტს და იმ ძალებს, რომლებიც ამ პარლამენტში გაერთიანდება, მინდა ვუსურვო ისეთი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა, როგორსაც ისინი ყოველთვის ეწეოდნენ თავისი საზოგადოებრივი არსებობის მანძილზე. რომ ყოველთვის ცოცხალ და შემოქმედებით ძალად რჩებოდნენ. საბოლოო მიზნის მიღწევა მინდა ვუსურვო, გარდამავალი პერიოდის წარმატებით დასრულება და ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება, რაც შეიძლება მალე.

**ზ. გ.** პარლამენტს მინდა ვუსურვო თავდაუზოგავი შრომა, რათა მივიდეთ იმ ტაძრამდე, რასაც საქართველო ჰქვია, ჭეშმარიტად თავისუფალი, ძლიერი, ერთიანი, დემოკრატიული და ქრისტიანული საქართველო.

**სურათზე:** ნუგზარ მოლოდინაშვილი და ზვიად ბოკუჩავა.

# ერთადერთი გზა სულიერი ამაღლების გზაა

**გიზო კორძაძე. დეპუტატობის კანდიდატი ბლოკიდან — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. კენჭს იყრის თბილისის დიღმის №6 საარჩევნო ოლქში.**

**— ბატონო გიზო, დღეს როცა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ქართველ ხალხს ყველაზე მეტად აწუხებს ის ფაქტი, რომ ეროვნული ძალები რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი და ერთმანეთისათვის ერთგვარ ოპოზიციას წარმოადგენენ. როგორ ფიქრობთ, რით შეიძლება, ამ სიტუაციის განმუხტვა, მოწესრიგება?**

— უპირველეს ყოვლისა უნდა დავძლიოთ პირადი და პარტიული ამბიციები. ყველა ჩვენთაგანი მოვალეა მონახოს თავის თავში ძალა და დათრგუნოს წყენა. დიდსულოვნება გვმართებს. თუ ვერ მოვერიეთ ამბიციებს, მაშინ არ გამოვა კონსენსუსი და ეს ბრწყინვალედ დაგვირგვინებული საქმე კატასტროფამდე მივა. იყო ისეთი ბედნიერი ხანა, როცა ყველა ერთად ვიდექით, ნოსტალგია მჭირს იმ დროისა. მჯერა, რომ ლიდერთა აბსოლუტურ უმრავლესობას ერთად-ერთი მიზანი აქვს, საქართველოს თავისუფლება, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ძნელბედობის ჟამს ინერტულები იყვნენ, მონაწილეობას არაფერში იღებდნენ, ახლა კი შექმნეს პარტიები, ჩაებნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, ითანამშრომლოს ეროვნულ მოძრაობაში, იმათაც კი, ვინც ადრე გუნდრუკს უკმევდა კომუნისტურ რეჟიმს, ნებსით თუ უნებლიეთ მონაწილეობდა ამ რეჟიმის განმტკიცებაში. კი ბატონო, უარყონ თავიანთი წარსული და გააკეთონ ეროვნული საქმე, მაგრამ პარტიებს რომ ქმნიან, არქმევენ გულისამაჩუყებელ ეროვნულ სახელებს და ლიდერობას იჩემებენ, ეს უბრალოდ გაუგებარია.

ამას წინათ ტელევიზიით ენახე გადაცემა მოსკოვიდან რუსულ ეროვნულ პრობლემებზე. ლაპარაკობდა НТС-ის წარმომადგენელი, წარმოშობით რუსი ქალი (მოგეხსენებათ, იყო დრო, როცა НТС-ის ლიტერატურის წაკითხვა პოლიტპატიმრობისათვის საკმარისი მიზეზი გახლდათ. ჰელსინკის ჯგუფის დაპატიმრებულ წევრებს ერთ-ერთ უპირველეს ბრალდებად სწორედ НТС-თან კავშირი წაუყენეს). ემიგრაციაში დაბადებული და აღზრდილი ქალი ცრემლმორეული ლაპარაკობდა იმ სულიერ სიცარიელეზე, რომელიც კომუნისტურმა რეჟიმმა დაამკვიდრა საბჭოთა რუსულ საზოგადოებაში, ეს სულიერი სიცარიელე უნდა შევისო. სულიერი სიღარიბეა მიზეზი იმისა, რომ ამდენი სირთულე გაჩნდა ადამიანთა ურთიერთობაში. სულიერი ამაღლება საზოგადოების გადარჩენის ერთადერთი გზაა.

**— თქვენ რომ საქართველოს პრეზიდენტი გახდეთ...**

— მე იმდენად მიყვარს ჩემი სამშობლო, რომ მშვენივრად შევიგრძნობ ჩემს პოტენციალს. ყოველთვის რიგითი ჯარისკაცი ვიყავი და ასეც მირჩევნია. მე და ჩემი მეგობრები არასდროს ვფიქრობდით პირად განდიდებაზე. ჩვენ ერთი დიდი მიზანი და ფიქრი გვქონდა. რიგითი ჯარისკაცი ვარ-მეთქი, როცა ვამბობ, თავმდაბლობით კი არ მომდის, არამედ კარგად ვიცი ჩემი შესაძლებლობები და კარგი იქნება, თუ თითოეული ჩვენგანი მიაქცევს ყურადღებას შინაგან და გონებრივ პოტენციალს.

**— თქვენ მერაბ კოსტავასთან ახლო ურთიერთობა გაკავშირებდათ...**

— როცა მერაბთან ციმბირში სანახავად ჩავედით, პირველი, რაც გვკითხა, იყო: ზვიადი როგორაა, რას განიცდის! ვიცი, ახლა იქ ძალიან რთული სიტუაციაა, ხომ ერთად ხართ... მერაბი ჭეშმარიტად ქრისტე იყო, მხოლოდ ერთ რამეში [illegible] ვდა სახარებისეულ მცნებას „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, — გვექადაგა ქრისტიანული მორალი, ხოლო მერაბს მოყვასი თავისი თავზე [illegible] უყვარდა. ციმბირში დიდი [illegible] კალებით ნაშოვნი ძეხვეული ჩავუტანეთ. მერაბმა მისთვის განკუთვნილი ლუკმა ბოლომდე დაურიგა გონებასუსტ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მშიერ ბავშვებს. (სკოლა-ინტერნატი იმავე სოფელში იყო, სადაც მერაბი გადასახლებაში იმყოფებოდა).

**— იმის მიუხედავად, რომ ხალხმა გაიგო გარდამავალი, მოსამზადებელი პერიოდის აუცილებლობა, ერი მოუთმენლად ელის საქართველოს დამოუკიდებლობას...**

— ამას შემზადება უნდა. ხვალვე დამოუკიდებლობის გამოცხადება გამოიწვევს დესტაბილიზაციას, როგორც პოლიტიკურს, ასევე ეკონომიკურს. უფრო გართულდება სოციუმის მოგვარება. თანდათანობით უნდა მოხდეს იმპერიული სტრუქტურებიდან გამოთავისუფლება. ქვეყნის კულტურის, განათლების, მრეწველობის რაც შეიძლება ნაკლები დარგი უნდა ექვემდებარებოდეს ცენტრს. რაც შეიძლება მალე უნდა შევქმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძვლები.

**— და მაინც, უფრო კონკრეტულად, რამდენ ხანში შეძლებს ახლადარჩეული პარლამენტი, ეროვნული მოძრაობა ამის მოგვარებას?**

— თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მიხდება ჩემივე ფრაზის ციტირება, ქართველი ერი მოუთმენლად მოელის ახალ 26 მაისს. ჩვენ არ უნდა გავახანგრძლივოთ ლოდინის დრო. პარლამენტში ყველაზე მეტი ადგილი, მრგვალი მაგიდის შემდეგ, კომუნისტებმა მოიპოვეს. ამიტომ არაა გამორიცხული საბოტაჟი. მოგეხსენებათ, მსუბუქი მრეწველობა თუ კვების მრეწველობა მაფიის ხელშია, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული კომუნისტ თანამდებობის პირებთან...

პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფოს სიმბოლიკის შეცვლა. დამოუკიდებლობის ეტაპობრივი კიბე კი საკმაოდ სწრაფად უნდა ავირბინოთ, მხოლოდ ვეცადოთ, სწრაფად მიმავალნი კიბეზე არ დავეცეთ.

ეკონომიკა უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი შეზღუდვებისაგან, პირადი ინიციატივა, რომელიც კომუნისტური რეჟიმის ხანაში დათგრუნული იყო, მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება საზოგადოების სოციალური ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. აუცილებელია ხალხს ყოველდღიური, ობიექტური ინფორმაციები მივაწოდოთ. სოციალიზმის დროს ხალხი შეაჩვიეს ახალი ეკონომიკური პროგრამებით დამშვიდებას, რომელთა შედეგები ყოველთვის აფიორა იყო. ჩვენ კი სიმართლე უნდა ვაღიაროთ, გულახდილები უნდა ვიყოთ ხალხის წინაშე.

**— წინასაარჩევნო პერიოდში კომუნისტებმა, ომის ვეტერანებს ბინები საჩუქრად გადასცეს. ომის ინვალიდებს პენსიები ასი პროცენტით გაუზარდეს. ეს, რა თქმა უნდა, წინგახედული, ღრმად ჩაფიქრებული მანევრი იყო კომუნისტების მხრიდან და ნაწილობრივ მოიმადლიერეს კიდეც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი...**

— მრგვალი მაგიდა, არაერთგზის განუმარტავდა მოსახლეობას, რომ პენსიებს არ შევეხებით. პირიქით, ჩემი აზრით, პენსია უნდა დაენიშნოს ყველა მოქალაქეს, ვისაც სამოცი წელი შეუსრულდება, იმასაც კი, ვისაც სამუშაო სტაჟი არა აქვს. ხოლო რაც შეეხება ომის მონაწილეებს, პენსია უნდა დაენიშნოთ ომის იმ მონაწილეებსაც, რომლებიც გერმანელთა მხარეს აღმოჩნდნენ. მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს ჩემი წინადადება, მაგრამ ფაქტია, ეს ომი იყო მეორე მსოფლიო ომი და არა სამამულო. ბოლო სამამულო ომი ქართველებმა 1921 წელს გადაიხადეს. საქართველოს ძნელბედობის ბრალია, რომ ისინი, ვინც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, მამლუქები იყვნენ, მამლუქები იყვნენ ისინიც, ვინც წითელ არმიაში იბრძოდა და ისინიც, ვინც წითელი არმიის წინაამდეგ მოდიოდა, რადგანაც გერმანიის ჯარში მებრძოლ ქართველებს სწამდათ, რომ გერმანია იყო ძალა, რომელიც სოციალიზმს მოსპობდა და ამ გზით შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მათ ეს გულწრფელად სჯეროდათ...

**— სამი დიდი სურვილის ახდენა რომ იყოს შესაძლებელი, რას ინატრებდით?**

— საქართველო დამოუკიდებელი მენახოს.

ქართველი ხალხი ძლიერი და ბედნიერი ყოფილიყოს.

ქართველი ერი სულიერად ამაღლებულიყოს.

**ჩაიწერა**
**ირმა კახნიაშვილმა**

# უნდა აღდგეს ტრადიციული ურთიერთობა

**თამაზ გველესიანი — დეპუტატობის კანდიდატი ბლოკიდან — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“**

ახალს ვერაფერს გეტყვით, თუ მოგაგონებთ, რომ საქართველოში საუკუნეების მანძილზე მეგობრულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. საქართველოს ისტორიას არ ახსოვს არაქართველი ხალხების დარბევა და გენოციდი საქართველოს ტერიტორიაზე. ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში დაგროვილი სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური პრობლემები იმპერიის ცენტრმა ე. წ. ეთნოკონფლიქტების გასაჩაღებლად გამოიყენა, შედეგები კი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გადააბრალა. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული ეთნოკონფლიქტების ლიკვიდაციის საქმეში. მე, როგორც ამ საზოგადოების წევრი, პირადად ვიმყოფებოდი ქვემო ქართლში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში. ჩვენ ვცდილობდით, გვეკონტროლებინა მდგომარეობა და აგვეშორებინა ამ ამბების სისხლიანი შედეგები. ჩემი დაკვირვება და პირადი გამოცდილება მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უფლებას მაძლევს, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოს არაქართველ მოსახლეობის ძირითად ნაწილს ისევე, როგორც ქართველ ხალხს, არ აწყობს ეროვნული შუღლი და სისხლიანი შეტაკებები. ორივე მხარეს უნდა მშვიდი, წყნარი ცხოვრება და შრომა. ეთნოკონფლიქტების ორგანიზატორია მესამე ძალა. მისი მიზანი იყო, ჩიხში მოექცია საქართველოს ეროვნული მოძრაობა, რომლის გამარჯვება თავისუფლებას და ნორმალურ, ადამიანურ ცხოვრებას მოუტანს არა მარტო ქართველებს, არამედ საქართველოში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობასაც. არაქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ამ ტრაგიკულ დღეებში გმობდა ყოველგვარ სეპარატიზმს და მის მომხრეებს, რომლებმაც მოახერხეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შეცდომაში შეყვანა. მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ პროგრამაში გარკვეულად არის ნათქვამი, რომ საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი უპირველესი კანონი იქნება კანონი ეროვნულ უმცირესობათა სამართლებრივი გარანტიების შესახებ. ამ კანონის ცხოვრებაში გატარება აღადგენს ტრადიციულ ურთიერთობებს ქართველ და არაქართველ ხალხს შორის. მოვუწოდებ ყველა არაქართველს, ჩემს ამომრჩევლებს (მე პირადად სამაჩაბლოში, ახალგორში ვიყრი კენჭს), მხარში ამოუდგეს საქართველოს ეროვნულ მოძრაობას სამართლებრივი საქართველოს სახელმწიფოს შენების საქმეში.

**ჩაიწერა**
**დალი ქვირიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქმიანი თანამშრომლობის დასაწყისი

თბილისში, ჟურნალისტის სახლში, 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს მიმდინარეობდა სემინარი: „ძეგლთა დაცვის საზოგადოებათა როლი რესპუბლიკათა რეალური სუვერენიტეტის პირობებში".

მუშაობაში მონაწილეობდნენ ლიტვის ისტორიის ძეგლთა დაცვისა და მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, ლატვიის ისტორიისა და ბუნების ძეგლთა დაცვის საზოგადოება, ესტონეთის სიძველეთა დაცვის საზოგადოება და საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

სემინარის მიზანს წარმოადგენდა ბალტიის რესპუბლიკებისა და საქართველოს შორის უშუალო კონტაქტების დამყარება, გამოცდილების გაზიარება, საქმიანი თანამშრომლობის დაწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ბალტიის რესპუბლიკებსა და საქართველოს შორის ძეგლთა დაცვის საქმის ორგანიზებაში დიდი სხვაობაა, მაინც მოიძებნა შეხების წერტილები, საერთო პრობლემები და სატკივარი. აზრთა გაცვლა-გამოცვლა ორივე მხარესთვის სასარგებლო გამოდგა, საფუძველი ჩაეყარა მჭიდრო ურთიერთკავშირს, რასაც კარსმომდგარი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება — ჩვენ და ბალტიელებს ერთი მიზანი გვაქვს.

## დეპეშები

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — სახელზე და პირადად მრგვალი მაგიდის სპიკერის ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელზე მრავალი დეპეშა მოვიდა უცხოეთიდან თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. დეპეშების ავტორები ულოცავენ მრგვალ მაგიდას არჩევნებში გამარჯვებას და მომავალში ყოველგვარ თანადგომას აღუთქვამენ. ალბათ, ქართველი ხალხისგან ამ თანადგომის დასტური იქნება 11 ნოემბერს დანიშნულ ხელმეორე არჩევნებში მრგვალი მაგიდის წარმომადგენელთათვის მხარდაჭერა.

## რუსთაველის საზოგადოების ყრილობა

გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობა. ყრილობამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს თენგიზ სიგუა, საპატიო პრეზიდენტად — აკაკი ბაქრაძე. ყრილობის მონაწილეები მიესალმნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებულ ბლოკს — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო". ყრილობის გადაწყვეტილებით საზოგადოება იარსებებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსით.

## საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

1990 წლის 27 ოქტომბერს პროგრამა „ვრემიას" დამთავრების შემდეგ საქართველოს ტელევიზიით საარჩევნო კამპანიისათვის დაგეგმილი დროის განმავლობაში გამოვიდნენ საქართველოს ეროვნული კონგრესის სახელით ირაკლი წერეთელი, რუსლან მიქაბერიძე და გია კობახიძე. მათი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი დაახლოებით საღამოს 6 საათზე ნახა საქართველოს უზენაესი საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა და საქ. ტელე-რადიო კომიტეტის ხელმძღვანელობასა და საქართველოს ეროვნული კონგრესის იქ მყოფ წარმომადგენლებს აუწყა, რომ მიზანშეუწონლად მიაჩნია ამ გადაცემის არჩევნების წინა დღეს გაშვება, ვინაიდან მასში არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთი საარჩევნო ბლოკის და დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატის მიმართ წამოყენებულია დაუსაბუთებელი ბრალდებანი და ამასთანავე ამ გადაცემის გაშვება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა არჩევნების ნორმალურად ჩატარებას.

ამ გადაცემის შემდეგ ტელევიზიის დიქტორმა განაცხადა, რომ იგი გადაიცა საქართველოს ეროვნული კონგრესის ეგრეთ წოდებული დაჟინებული მოთხოვნით. თუ რაში მდგომარეობდა ეს დაჟინებული მოთხოვნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბევრმა წევრმა უშუალოდ იხილა 27 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში საქ. ტელე-რადიო კომიტეტის შენობაში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაჩნია, რომ ყოველივე ეს არის „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის უხეში დარღვევა, საქ. ტელე-რადიო კომიტეტის ხელმძღვანელობისა და საქართველოს ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ მას ყოვლად მიუღებლად მიაჩნია მომხდარი ფაქტი. იგი შეისწავლის მონაწილეობდა თუ არა საქართველოს უზენაეს საბჭოს არჩევნებში მონაწილე რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაცია საარჩევნო კანონის ამ დარღვევაში და საჭიროებისამებრ მიიღებს საარჩევნო კანონის მიხედვით გათვალისწინებულ ზომებს.

**საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელით: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: ი. ჟორდანია; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თ. სიგუა; კომისიის წევრები: დ. უსუფაშვილი, რ. თურქაძე.**

## ერის ღალატი

მრავალჭირნახული საქართველო არასოდეს შეგუებია დამპყრობელს, არასოდეს მოუხრია ქედი უცხო ტომელი მტრის წინაშე. იავარქმნილი, ფენიქსივით ფერფლიდან აღსდგებოდა ხოლმე და კვლავ გრძელდებოდა შრომითა და გარჯით, შენებით, უნიკალური ეროვნული კულტურით აღსავსე ისტორია. მაგრამ მშვიდობიანობის დროსაც ჩნდებოდნენ გადაგვარებული თვისტომნი, ციხის შიგნიდან გამტეხნი, მოძმისა და სამშობლოს მოღალატენი და ისევ პარტახდებოდა მამული.

ამ მოვლენამ განსაკუთრებით იჩინა თავი რუსეთთან „დამეგობრების" შემდეგ, გამორჩეულად კი ბოლო 70 წლის განმავლობაში. უღმერთო ვაი-მამულიშვილნი ჯერ კომისრებად მოგვევლინენ, ააოხრეს, წალმა-უკუღმა გადახნეს საქართველო, შემდეგ კი მათი ლეკვები რაიკომის მდივნებისა და აღმასკომების თავმჯდომარეების სავარძლებში მოკალათდნენ და რამაც უფლის უსაზღვრო წყალობითა და მამულიშვილების დიდი რუდუნებით აქამდე მოაღწია, ისიც გააპარტახეს, ნაწილ-ნაწილ გაყიდეს სამშობლო, სადაც გასწვდნენ, მოსპეს ყველაფერი ქართული.

ამ მოღალატეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს შორის განსაკუთრებით მძიმეა ქართული მიწის გაყიდვა. ამ თემას ჩვენ არაერთხელ დავუბრუნდებით, დავუბრუნდებით ცალკეული რეგიონებისა და რაიონების მიხედვით. ამჯერად კი მარნეულის რაიონზე შევჩერდებით, სადაც 1977-1983 წლებში განსაკუთრებული წარმატებით იყიდებოდა საქართველო. იყიდებოდა მიწის ნაკვეთები, მრავლდებოდა უკანონოდ აშენებული სახლები. მათ პატრონებს არა აქვთ არც მინისტრთა საბჭოს დადგენილება და არც სახლების პროექტები. ყიდვა-გაყიდვამ მთელი რაიონი მოიცვა, მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი. ჰაერზე არაფერს ვამბობთ, ამის ყველა საბუთი გვაქვს. დასტურად გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს, ვინც უკანონო გზით შეიძინა საკარმიდამო თუ სახლი: გუმბატ იუსუპოვი, ნარიმან აზიზოვი, რაფაელ ბოდზიევი, ისა დანაგრანოვი, ხალეი ჩავდაროვი, რაშიდ ალახვერდიევი, იაკობ ჩავდაროვი, ფარიდ ისმაილოვი, ასრატ ბოდზიევი, ნარიმან ნაბიევი, ტახირ ალახვერდიევი, ასრატ გუსეინოვი, შოილა ახმედოვა, ელიმხან ასკეროვი, მეხრად მამედოვი, ფაშა ბაირამოვი, სადირ ისმაილოვი, შაირ გოჯაევი, სალიხან ალიევი, გულიას ჯაფაროვი, ჩასიბ აშიროვი, იასინ მამედოვი, გაბიდ მამედოვი, ალადინ კაშიმოვი, ედიგარ ედიგაროვი, ფარმან გასანოვი, რამაზან იუსუპოვი, ზიადინ იუზბაევი, ტელიმან როზაგულიევი, ლატიფ მამედოვი, ქამანდარ ნაჯაბოვი, ელმან ალიევი, ნარიმან აივაზოვი, მაგამედ გაშიმოვი, უსუპ გადინაევი, ზოხრა ისმაილოვა და ა. შ. და ა. შ. რამდენი ჩამოგითვალოთ.

ყოჩაღ, ყოჩაღ, უცხო ტომელებო! ყველაფერი მარჯვედ მოგიხერხებიათ. თქვენთან რა გვინდა, გაგდით და აკეთებთ, ბოლოსდაბოლოს ყიდულობთ. ჩვენ იმ მოღალატე ქართველებთან გვაქვს საქმე, წლების განმავლობაში სამშობლოს გაყიდვით რომ ითბობენ ხელს და ახლაც არ შოშმინდებიან. თუმცა, დიდი ხანია, სატანას მიჰყიდეს სული, მისი კლანჭებიდან თავის გამოხსნა კი არც ისე იოლია...

## პარტიულ-სამეურნეო აქტივის წევრები, რომლებმაც მოითხოვეს ჯარის შემოყვანა 9 აპრილს და კრემლის ახალი პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ

**გ. გ. გუმბარიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. დ. მახარაშვილი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, გ. ვ. ნიკოლსკი, ი. ნ. როდიონოვი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჟითანავა, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ვ. ნ. ლობკო,** სსრკ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ვ. ა. კოჩეტოვი.**


ТБИЛИСИ ПРЕДСЕДАТЕЛЮ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР
ГУМБАРИДЗЕ [illegible]
2 НОЯБРЯ 1990 Г. В 11 ЧАСОВ В ЗАЛЕ ЗАСЕДАНИЙ ПРЕЗИДИУМА
ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР НАЗНАЧАЕТСЯ ЗАСЕДАНИЕ СОВЕТА ФЕДЕРАЦИИ
ДЛЯ ОБСУЖДЕНИЯ ПРОЕКТА СОЮЗНОГО ДОГОВОРА [illegible] А ТАКЖЕ ДЛЯ ОБМЕНА
МНЕНИЯМИ ПО ТЕКУЩИМ [illegible] ГОРБАЧЕВ

ამ დღეებში მოსკოვიდან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. გუმბარიძის სახელზე ასეთი დეპეშა მოვიდა:

**„1990 წლის 2 ნოემბერს 11 საათზე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში დანიშნულია ფედერაციის საბჭოს სხდომა სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად, აგრეთვე მიმდინარე მოვლენებზე აზრის გასაზიარებლად.**

მ. გორბაჩოვი".

რა თქმა უნდა, ძალიან ცდილობენ ჩვენი „უფროსი ძმები" ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას და, ალბათ, ადვილადაც მოახერხებდნენ, რომ არა ახალი უზენაესი საბჭოს არჩევნები. ახალი უზენაესი საბჭო სიცოცხლის ფასადაც არ დაუშვებს სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას. რა თქმა უნდა, ამისათვის პარლამენტში ხმების გადამწყვეტი უმრავლესობა ოპოზიციის მხარეს უნდა იყოს, რაც საბოლოოდ არჩევნების ხელმეორე კენჭისყრის შედეგად გადაწყდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9 აპრილი და უცხოეთის პრესა

**ამ რამდენიმე ხნის წინ ცენტრალური ტელევიზიით სპეციალურად დასავლეთისათვის გადაღებული საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ვითარების ამსახველი საკმაოდ ობიექტური დოკუმენტური ფილმი აჩვენეს. კომენტატორმა ასე შეაფასა 9 აპრილის მნიშვნელობა: ამ მოვლენამ საბჭოთა მოსახლეობა არმიის წინააღმდეგ განაწყო და რესპუბლიკები გამოყოფის აუცილებლობაში დაარწმუნა, რასაც მოჰყვა ლიტვის მიერ გადადგმული ნაბიჯი.**

**9 აპრილის გამოძახილი დასავლეთში იმდენად დიდი იყო, რომ მის წლისთავს აქტიურად გამოეხმაურა დასავლეთის პრესა. დაიბეჭდა მრავალი სტატია, კომენტარი, იყო ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაც. იქ, სადაც ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე წერდნენ, მაშინვე ბალტიისპირეთს იხსენიებდნენ, ისინი ერთ რანგში აჰყავდათ, სიმპათიებიც თანაბრად იყო განაწილებული. აღნიშნული მასალები იმდენად საინტერესოდ მომეჩვენა, რომ შევკრიბე, ვთარგმნე და ერთ ახალ გაზეთს, რომელმაც თავი დამოუკიდებელ გამოცემად გამოაცხადა, მივაბარე. არ მეგონა, რომ პრესის თავისუფლება ზოგიერთს აქტუალური მასალების დამწნილებად ესახება. გავიდა 5 თვე და შევეგუე იმ აზრს, რომ სტატია დღის სინათლეს ვერ იხილავდა. მაგრამ ერთმა გარემოებამ მიბიძგა იმისაკენ, რომ მისი გამოცემისათვის სხვაგან მიმემართა. საქმე ისაა, რომ ამას წინათ გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ უცხოელ მეცნიერებთან. ერთმა ჰოლანდიელმა სტუმარმა განაცხადა, რომ გაგონილი აქვს, შარშან აპრილში თბილისში რაღაც მოხდა, მაგრამ რადგან ასეთი რამ მსოფლიოში ხშირად ხდება, ამას დიდი ყურადღება არც მიაქცია. სხვათა შორის ეს დაიწერა იმ დღეებში, როცა გაერო განიხილავდა იერუსალიმში მომხდარ ამბებს, რომლის დროსაც იმავე რაოდენობის ხალხი დაიღუპა, რამდენიც თბილისში. ვიმედოვნებ, რომ უტაქტო და განუვითარებელი უცხოელი სტუმრის გამონათქვამი დაუდევრობის გამო გაიპარა „კომუნისტის" ფურცლებზე. მართლაც, არ მგონია, რომ რედაქციაში ვინმე ფიქრობდეს, თითქოს რეგულარული ჯარის თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობაზე, და მათ შორის ქალებზე, რაღაც ჩვეული ამბავია.**

**წინამდებარე მასალები, ვფიქრობ, მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის იმის თაობაზე, თუ რას ფიქრობენ 9 აპრილის მნიშვნელობაზე არა შემთხვევითი პირები, არამედ დასავლეთის საზოგადოების ყველაზე მოწინავე ნაწილის წარმომადგენლები — ჟურნალისტები და პოლიტიკოსები.**

**ერთი** წელი ისტორიისათვის ძალიან ცოტაა, მაგრამ გასული წელი იმდენად მდიდარი იყო მოვლენებით და მეტამორფოზებით, რომ რამდენიმე ათწლეულის ტოლფასია. აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანი რევოლუციები შეიძლება გავუტოლოთ საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც ალბათ დიდ გავლენას იქონიებენ ჩვენს მომავალზე. ასეთ მოვლენათა რიგში დგას 9 აპრილის ტრაგედიაც, რომელმაც, როგორც ჩანს, შეიტანა პატარა, მაგრამ თავისებური წვლილი ზემოაღნიშნული პროცესის განვითარებაში, ვინაიდან მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ თანამედროვე პირობებში ძალის, ტანკების პოლიტიკა ხალხების მიმართ არაეფექტური გახდა და ვერ დასძლევს თავისუფლების ნებას. ამას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ როგორც თვით 9 აპრილის მოვლენებმა, ისე მისი წლისთავის აღნიშვნამ, დიდი რეზონანსი გამოიწვია დასავლეთის ქვეყნებში. 9 აპრილის წლისთავს დასავლეთის პრესამ მიუძღვნა მოწინავე სტატიები, კომენტარები, ძირითადად კი რეპორტაჟები თბილისიდან. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ 9 აპრილის მოვლენები დასავლეთის პოლიტიკური ლექსიკონის, აზროვნების, არგუმენტაციის ნაწილი გახდა, რაშიც დავრწმუნდებით, თუ გადავხედავთ დასავლეთის პრესის ბოლოდროინდელ პუბლიკაციებს.

9 აპრილის წლისთავი თავისი პუბლიკაციებით აღნიშნეს დასავლეთის წამყვანმა გამოცემებმა, მაგალითად გერმანულმა „ველტმა", იტალიურმა „კორიერე დელა სერამ", ინგლისურმა „ტაიმსმა", მაგრამ მოცულობით და შინაარსით ამ თემაზე ყველაზე საინტერესო სტატიები მოათავსეს ამერიკულმა და ფრანგულმა გაზეთებმა. ამიტომ ამჯერად მათზე შევაჩერებთ ყურადღებას. მაგრამ, ალბათ, საინტერესო იქნება არა მარტო 9 აპრილის წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების გაცნობა, არამედ როგორ აფასებენ დასავლეთში საბჭოთა კავშირში შექმნილ მდგომარეობას, ბალტიისპირეთის და საქართველოს ეროვნულ მოძრაობას.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ დასავლეთის პრესის დიდი ნაწილი აშკარა სიმპათიას ამჟღავნებს ბალტიისპირეთის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიმართ, ხშირად მორალურ მხარდაჭერას იჩენს მათდამი (ეს განსაკუთრებით ეხება მეცნიერული ინტელიგენციის ნაწილს). აღნიშნული გამოცემები ხაზს უსვამენ, რომ უფრო მისაღებად მიიჩნევენ ბალტიისპირეთის მიერ დამოუკიდებლობის მშვიდობიანი გზით მიღწევის შესაძლებლობას. აგრეთვე საგულისხმოა ისიც, რომ დასავლეთის პრესა ყოველთვის მოიხსენიებს საქართველოს, როცა განიხილავს ბალტიისპირეთის საკითხს, რადგან მისი აზრით, საბჭოთა კავშირში დამოუკიდებლობის სურვილს სწორედ ეს ხალხები გამოხატავენ ყველაზე მეტად. ამასთანავე დასავლეთის გაზეთებში ამჟამად ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ ქართული მოძრაობა ბალტიისპირეთისგან განსხვავებით განხეთქილების გზას ადგას. მაგრამ ეჭვს არ იწვევს ერთი გარემოება: დასავლეთის პრესა მზარდ ინტერესს იჩენს საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი, რასაც დიდად შეუწყო ხელი 9 აპრილის ამბებმა, ამასთანავე ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ კარგ ინფორმაციას ფლობს და ზოგიერთ ისეთ ნიუანსშიც ერკვევა, რომ გაკვირვებას იწვევს. როგორც ჩანს, ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ მათ, ვინც ჩვენში პოლიტიკურ ამინდს ქმნის.

ფრანგული „ფიგარო" ერთადერთი გაზეთია მსოფლიოში, რომელიც ატარებს ლიტერატურული გმირის სახელს. ბომარშეს პიესის გამჭრიახი გმირის მსგავსად გაზეთი რეალისტურად უყურებდა საბჭოთა ცხოვრებას და არ ექცეოდა სოციალიზმის ცრუ ხიბლის ქვეშ. ამიტომ საბჭოთა კავშირში მას ყოველთვის ანტიკომუნისტური გამოცემის რეპუტაცია ჰქონდა. სინამდვილეში ეს ისეთი ყაიდის ანტიკომუნიზმი იყო, რომელიც საბჭოთა პრესამ საჯაროობის პირველ პერიოდშივე აითვისა და უფრო შორს წავიდა კიდეც. მაგრამ ეროვნული საკითხის სიმწვავემ საბჭოთა კავშირში „ფიგაროს" თავისებური რევანშის საშუალება მისცა.

წერილი „9 აპრილი 1990 წ.", რომელიც საქართველოს ეხება, ჩასმულია სხვა ამბებისაგან, ძირითადად ლიტვის პრობლემებისაგან შეკრულ ჩარჩოში, რადგანაც დასავლეთი ამ ამბებს მოვლენათა ერთ რიგს მიაკუთვნებს, ერთ-ერთი პუბლიკაცია ფრიად საინტერესოა და მრავლისმეტყველი სათაურიც აქვს: „აბსურდის ქვეყნის საზღვრებიდან განდევნილის თავგადასავალი". ესაა ღია წერილი საბჭოთა პრეზიდენტისადმი და შეიცავს მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს. მთავარი აზრი ამ სტატიის დაწერისა იყო ის, რომ ანდრე გლიუკმანი და სხვა ჟურნალისტები დასავლეთიდან, რომლებიც ამბების გასაშუქებლად ჩაფრინდნენ ლიტვაში, პირდაპირ აეროპორტიდან დააბრუნეს უკან. აი რას წერს ავტორი: „ზოგი ევროპელი უკვე მიხვდა, როდესაც ისინი ბედის ანაბარა ტოვებენ პატარა ხალხებს უზარმაზარი სამხედრო მექანიზმის მარწუხებში, ამას მაინც არავისთვის არ მოაქვს ბედნიერება. ის ფაქტი, რომ თავის დროზე ევროპელებმა ეთიოპია მსხვერპლად შესწირეს მუსოლინის გამარჯვებას, ჩეხოსლოვაკია მიჰყიდეს ნაცისტებს, არ იძლევა საბაბს წარსულში ჩადენილი სიმხდალის რეციდივისათვის. ხომ არ აჰარბებს საბჭოთა კავშირი, როცა ზედმეტ იმედს ამყარებს ევროპელთა გულგრილობაზე და ყოველივეს შემწყნარებლობაზე?" — სვამს კითხვას ავტორი.

ზემოხსენებული მასალა ქმნის ემოციურ წანამძღვრებს იმისათვის, რომ შემდგომ გადმოცემულ იქნას, თუ როგორ აღინიშნა საქართველოში 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავი. სტატია იწყება საქართველოს კულტურის ცენტრის წინ გამართული მიტინგის აღწერით. ავტორს მოჰყავს 9 აპრილთან დაკავშირებული ახალი დოკუმენტური ფილმის ნახვით შეძრწუნებული მაყურებლის, რუსი მოხუცებული მანდილოსნის სიტყვები: „რისთვის დასჭირდათ ასეთი ძალადობა, ეს ხომ მშვიდობიანი დემონსტრაცია იყო". შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ იგივე ფილმი საქართველოში რამდენიმე დღით ადრე უჩვენეს და აკეთებს უმართებულო დასკვნას, თითქოსდა ამან უფრო შეუწყო ხელი იმას, რომ 9 აპრილის წლისთავზე რუსთაველზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სინამდვილეში მოსახლეობის განწყობა ისეთი იყო, რომ არ სჭირდებოდა რაიმე დამატებითი დოპინგი. მაგრამ უმჯობესია სიტყვა მივცეთ ფრანგ ჟურნალისტს: „ამ მეტად ტრაგიკული მოვლენის წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ტელევიზიის მიერ ნაჩვენები ეს ფილმი თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ტოვებს აქ ნაჩვენები სისასტიკითა და დაუნდობლობით. სწორედ ამ ამბების გამოძახილი იყო ის პროტესტი, აღშფოთება და ტკივილი, რამაც შეკრიბა მთავრობის სახლის წინ სამგლოვიარო აქციის მონაწილენი 1990 წლის 9 აპრილის ღამეს. პროსპექტი გადაჭედილი იყო. მომიტინგეთა რიცხვი 100 000 აჭარბებდა. მიტინგზე მოსულებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ლიტვას, წაიკითხეს საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი დეპეშები. სიტყვით გამოვიდნენ რესპუბლიკათა დელეგაციების წარმომადგენლები". ავტორის აღიარებით, ყველაფერმა ამან მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ამასთანავე სვამს მართებულ კითხვას: ძალუძს თუ არა 9 აპრილის გამოძახილს შეადუღაბოს გათიშვის გზაზე მყოფი ოპოზიციური ძალები და ამით დააჩქაროს საქართველოს მოძრაობა დამოუკიდებლობისაკენ. ავტორი ამაზე პასუხს არ იძლევა და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ წარმოაჩინოს საქართველოს პოლიტიკური ვითარება. მას მოჰყავს პოლარულ პოზიციებზე მდგარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მოსაზრებანი საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე. გაზეთი აღნიშნავს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, მიუხედავად იმ სიმდიდრისა, საქართველო რომ ფლობს, მოსკოვზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო მიიჩნევს, რომ ამჟამად რესპუბლიკა ვერ შეძლებს გამოყოფას.

ოპოზიციის წარმომადგენლის ზვიად გამსახურდიას აზრით, ხალხი, რომელსაც თავისუფლება სურს, გააჩაღებს დამოუკიდებლობის კამპანიას.

სტატია მთავრდება ახალგაზრდა ქართველი ქალის სიტყვების ციტირებით, რომელიც ჟურნალისტთან საუბარში ხაზს უსვამს ქართული კულტურისა და ისტორიის სიძველეს და აღნიშნავს: „ქართულ ცივილიზაციას რუსეთთან შედარებით გაცილებით შორს აქვს ფესვები გადგმული, ჩვენ გვქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, სანამ ბოლშევიკები ანექსიას მოახდენდნენ. ამ უსამართლობის გამოსწორების ერთადერთი საშუალება გახლავთ, რომ დაგვიბრუნონ ის, რაც კანონით გვეკუთვნის!"

ყველაზე დიდ ადგილს, ფაქტიურად რამდენიმე გვერდს უთმობს 9 აპრილის წლისთავს ფრანგული „ლიბერასიონი". (9 აპრილი 1990 წ.) თვით მისი სახელწოდება „ლიბერასიონი" („თავისუფლება", დაარსდა ნაცისტების საფრანგეთიდან განდევნის შემდეგ) დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ფრანგული ინტელიგენციის ამ ყველაზე გავლენიან გამოცემას. იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას საქართველოსა და ბალტიისპირეთის შესახებ მასალების დიდ მნიშვნელობას, გაზეთი პირველ გვერდზე ათავსებს ანონსს: „ეროვნული ციებ-ცხელება საქართველოში, მოსალოდნელია დიდი მანიფესტაცია საბჭოთა ჯარების მიერ 9 აპრილს დაუნდობელი რეპრესიების ჩატარების ერთი წლისთავის გამო. გამოქვეყნდა კანონი საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ, რაც ცენტრს ფაქტობრივად მოვლენათა ბატონ-პატრონად ხდის, და ეს მაშინ ხდება, როდესაც ამჟამად ლიტვასა და ესტონეთს, რომელთაც ხვალ შესაძლოა საქართველოც დაემატოს, სურთ დაუყოვნებელი დამოუკიდებლობა".

სიმპტომატურია თვით საქართველოსადმი მიძღვნილი დიდი წერილის სათაურიც: „პერმანენტული მიტინგების გზით დამოუკიდებლობისაკენ. საქართველოში პარტიები ყალიბდება არა იდეების, არამედ ადამიანების გარშემო". სტატია რამდენიმე თვალსაჩინო შრეს შეიცავს. პირველი, ესაა ემოციური მხარე. კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში გაჩნდა ახალი ტრადიცია, როდესაც თამადა (გაშიფრულია ეს ფენომენი) სთავაზობს თანამემამულეებს დამოუკიდებელი საქართველოს სადღეგრძელოს შესმას. ამას მოჰყვება ვრცელი აბზაცი — დახვეწილ, ჭეშმარიტად ფრანგულ სტილში, რომლის ხატოვანებამ შეგვახსენა ის უცილობელი ფაქტი, რომ ამ ქვეყნის ენა ბრწყინვალე მწერალ-სტილისტებმა ჩამოაყალიბეს. ავტორი შთამბეჭდავად აღწერს 9 აპრილის ტრაგედიის ადგილს, მთელ რუსთაველის პროსპექტს. აღნიშნავს, რომ აქ მოხსნეს უგემოვნო ძეგლები, რომელთა ადგილასაც ფრიალებს ქართული ეროვნული დროშები და მუდამ აწყვია ცოცხალი ყვავილები. იქვე სკვერში, სადაც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ქანდაკება დგას, მუდამ ბავშვების ჟრიამული გაისმის. აქ ჟურნალისტი წყვეტს მჩქეფარე ცხოვრების იდილიური სურათის აღწერას და საუბარს იწყებს იმ მომწამვლელ გაზებზე, რომლის შემადგენლობაც ვერა და ვერ იქნა დადგენილი და რომელთა გამოყენების შედეგადაც ეს ადგილები დიდხანს სახიფათო იყო ადამიანის სიცოცხლისათვის.

ფრანგი ჟურნალისტი ავლენს ნეიტრალურ პოზიციას სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და გამონათქვამებისადმი, მაგრამ არის რამდენიმე ადგილი, სადაც ავტორი გვთავაზობს საკუთარ მიდგომას. მაგალითად, მას მოჰყავს ერთი ადგილობრივი ჟურნალისტის გამონათქვამი, რომლის თანახმადაც საქართველოში პოლიტიკა ძალიან დაემსგავსა ფეხბურთის მატჩს, როდესაც მაყურებლები დარწმუნებული არიან, რომ თავისუფლად შეუძლიათ პროფესიონალების როლში გამოსვლა და ფეხბურთის თამაში. ამ პიროვნების სიტყვებში ფრანგმა ჟურნალისტმა განჭვრიტა იმ ადამიანის აზრი, რომლის პროფესიული ცხოვრებაც კონფორმისტულად მიედინება. რაც შეეხება პროფესიონალ პოლიტიკოსებს — ხელისუფლებას, წერს ავტორი, მას არა აქვს საკმარისი ავტორიტეტი და არის ორ ცეცხლს შუა წესრიგის დამყარების ცდუნებასა და ყველაფრის კეთების უფლების მიცემას შორის.

მოტანილ ეპიზოდში გამოსჭვივის ანალიზისა და შეფასების ელემენტები, რასაც საზოგადოდ ეს ავტორი გაურბის. თუმცა უკვე მასალის განლაგებაში ჩანს გარკვეული დამოკიდებულება. ეს პირველ რიგში ეხება წერილის იმ ნაწილს, რომელიც პირობითად შეიძლება ჩაითვალოს საინფორმაციოდ, და სადაც საუბარია რესპუბლიკის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ეროვნულ მოძრაობაზე. ამ ნაწილში ფრანგი ჟურნალისტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უკვე ერთი წელი გავიდა 9 აპრილის მშვიდობიანი დემონსტრაციის მხეცურად დარბევის შემდეგ და ამის შედეგად გამოწვეულმა ტრავმამ ფსიქოლოგიური მარწუხებისაგან გაათავისუფლა ადამიანის აზროვნება. ისეთი შთაბეჭდილებაც კი გექმნებათ, თითქოს რესპუბლიკა უკვე გავიდა სსრკ-ს შემადგენლობიდან, ამბობს ავტორი. მისი ამგვარი მტკიცებით გამოდის, რომ ცენტრი პრაქტიკულად პირველად შეეჯახა დამოუკიდებლობის ინტელექტუალურ ფორმას, რომელიც ჯერ ადამიანთა გონებაში მწიფდება. ასეთი რამ კი პირველად ბალტიის სანაპიროზე მოხდა. ამგვარად შთაგონებული პოლიტიკური მოძრაობა ისეთ ძალას იღებს, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია, აკეთებს დასკვნას ფრანგი ჟურნალისტი. ამ მოვლენების შემდეგ საქართველოში მრავალი პარტია და ორგანიზაცია ყალიბდება. დემონსტრაციები თითქმის არ წყდება. კომპარტია იძულებულია დაიხიოს ყველა მიმართულებით, რადგან სხვაგვარი მოქმედება შეუძლებელია. ასეთი ქმედება კი ნაკარნახევია მოსახლეობის იმ განწყობით, რაც 9 აპრილის მოვლენების შემდეგ გაღვივდა. ამასთანავე ჟურნალისტი გაკვირვებულია იმით, რომ თვით საქართველოს უმაღლესმა საბჭომაც, რომელიც შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც ჯერ დემოკრატიის ჩანასახიც კი არ არსებობდა, მიიღო მთელი რიგი თამამი გადაწყვეტილებანი, კერძოდ ანექსიის შესახებ. ეს კი, ჟურნალისტს ძალიან მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნია.

იმავე გვერდზე მცირე ზომის ცალკე სტატიაში მოცემულია ექსკურსი საქართველოს ისტორიაში, რომლის მიზანია მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას აღნიშნულ საკითხზე. ერთი მოსაზრება ფრიად საინტერესოა. აღნიშნულია, რომ როდესაც საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა, მას გარანტად დაუდგა გერმანია, მაშინ როდესაც საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები არ ენდობოდნენ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, რადგან ისინი ზედმეტად წითლებად მიაჩნდათ. რუსეთის არმიამ მოახდინა საქართველოს ანექსია, სტალინმა დაიწყო ტოტალური ბოლშევიზაცია. 1924 წ. მოხდა აჯანყება, რომელიც სასტიკად ჩაახშეს, წერს გაზეთი.

აქვე გვერდით მოთავსებულია სტატია, რომელიც ეყრდნობა რა საქართველოში და ბალტიისპირეთში მომხდარ ფაქტებს, ანალიზს უკეთებს ამ მოვლენებს, აძლევს შეფასებას. ამ მასალის გაცნობა, ალბათ, საინტერესო იქნება, ვინაიდან გვიჩვენებს ფრანგული პრესის ნაწილის მიდგომას თანამედროვე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი პრობლემისადმი — ეროვნული საკითხისადმი. სტატიის სათაურიც კი საგულისხმოა: „საქართველო მიდის ბალტიისპირეთის გზით". ამას მოსდევს ქვეთავი: რა ხდება შაგრენის ტყავის კავშირში. შემდეგ უფრო დიდი ასოებით დაბეჭდილია: საბჭოეთი მარადიული უკვე არაა, საკითხი მხოლოდ ასე დგას: მისი არსებობა კიდევ რამდენ ხანს გასტანს. გორბაჩოვს უნდა ახალი ფედერაციის ეტაპობრივი შექმნა, გამოყოფის მომხრენი კი ამ საკითხს სრულიად სხვაგვარად უყურებენ.

წერილში გაკრიტიკებულია ახალი კანონი საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ. იგი ყალბ კანონად არის შეფასებული. ავტორის აზრით, ფედერაციის განახლების შემოთავაზებული ფორმულა მიზნად ისახავს შექმნას გარდამავალი სტატუსი დამოუკიდებლობასა და დღევანდელი ცენტრისადმი დამორჩილების მდგომარეობას შორის. ამასთან ერთად, გაზეთის თქმით, ახალი ფედერაციის კონცეფციის ავტორები საუბრის დროს ხშირად იშველიებენ მაგალითს, თუ ინტეგრაციის რაოდენ მისაბაძ გზას ადგანან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. წერილის ავტორი აცხადებს, რომ ამ დროს იბადება მეტად სამართლიანი კითხვა, შეძლებენ კი ის ხალხები, რომლებსაც არ გაუვლიათ სახელმწიფოებრივი განვითარების საყმაწვილო პერიოდი (ერი — სახელმწიფოს სტადია), უცებ დაადგნენ ევროპული ყაიდის ინტეგრაციის გზას. რა თქმა უნდა, ამ პრობლემას აქვს განსხვავებული ხასიათი, თუკი გავითვალისწინებთ თხუთმეტი რესპუბლიკის არაერთგვაროვნებას. ამიტომ ეროვნული პრობლემა მოითხოვს საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას პირველ რიგში ისეთი რესპუბლიკებისათვის, რომლებიც აშკარად წარმოადგენენ ერებს, ჯერ კიდევ ახსოვთ თავისი დამოუკიდებლობა და ამასთანავე მუქარას შეიგრძნობენ. ავტორის აზრით, უპირველეს ყოვლისა, ეს ფაქტორები ეხება საქართველოსა და ბალტიისპირეთს. აქვე აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირში დაწყებული ლიბერალიზაცია იყო ის სტიმული, რომელმაც ამ რესპუბლიკებს მისცა საშუალება გამოეთქვათ თავისი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. მაგრამ ამასთანავე, როგორც ეროვნულ, ასევე სხვა საკითხებში ცენტრი მოქმედებდა შემდეგი სქემის მიხედვით: ჩვენ მზად ვართ ეროვნულ საკითხში რეფორმებისათვის, თუმცა ყოველივე ეს უნდა წარიმართოს ჩვენს მიერ წამოყენებული პირობების თანახმად. სწორედ ასეთმა სურვილმა, რომ მუდამ უკარნახოს თავისი ნება სხვას, გამოიწვია ტრაგიკული ჩავარდნები საბჭოთა ეკონომიკაში, რასაც ენაცვლება მეტ-ნაკლები წარმატებები პოლიტიკის სფეროში. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას. — როცა ცენტრი აღიარებს, რომ რესპუბლიკებს აქვთ დამოუკიდებლობის მიღწევის თეორიული შესაძლებლობა და იმავდროულად გამიჯვნის მეტად არარეალურ პირობებს აყალიბებს, ეს დასავლეთს ვერ შეიყვანს შეცდომაში, დარწმუნებით აღნიშნავს გაზეთი.

ქართველები, ასევე ბალტიისპირელები, მხოლოდ გამოყოფაში ხედავენ თავისუფლებისა და გადარჩენის ერთადერთ გზას. ამასთანავე მოსკოვში უნდა ახსოვდეთ, რომ დრო თავისუფლების მსურველთა სასარგებლოდ მუშაობს. მსოფლიოს დეკოლონიზაციის ისტორია გვასწავლის, რომ ხალხთა დახსნა კოლონიზატორთა მიერ ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით არ ხორციელდება, მართებულ დასკვნას აკეთებს ავტორი.

მოამზადა
ნოდარ გაბაშვილმა

## მსოფლიოს გამორჩეული პოლიტიკოსები

# ვაცლავ ჰაველი

# წერილი გუსტავ ჰუსაკს

**ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, პატივცემულ ბატონ დოქტორ გუსტავ ჰუსაკს**

და მას შემდეგ, რა სისტემაც იქნა სტაბილიზებული მსოფლიოში, ხალხმა თითქოს დაკარგა მომავლის იმედი, საზოგადოებრივი საქმეების გამოსწორების რწმენა, სიმართლისა და უფლებებისათვის ბრძოლის მნიშვნელობის აზრი. ის უარს ამბობს ყველაფერზე, რაც აღემატება მის ყოველდღიურ საზრუნავს, პირადი უზრუნველყოფის ფარგლებს, ეძლევა აპათიას, არ აინტერესებს არაფერი, რაც მის პირად ინტერესებზე მაღლა დგას, გულგრილი ხდება თავისი ახლობლების მიმართ, მას ეუფლება სულიერი პასიურობა და დეპრესია. ხოლო ის, ვინც ცდილობს მათთვის წინააღმდეგობის გაწევას — მაგალითად უარყოფს მიიღოს თვალთმაქცობის პრინციპი, როგორც საარსებო გამოსავალი, რადგან ეჭვი ეპარება თვით იმ თვითგამოხატვის ღირებულებაში, რომლის საფასურიც საკუთარი თავისადმი გაუცხოებაა — სულ უფრო და უფრო გაგულგრილებულ გარემოს ევლინება როგორც შერეკილი, გიჟი, დონ-კიხოტი. დაბოლოს, მას აუცილებლად იღებენ უკმაყოფილების გარკვეული დოზით, როგორც ყველას, ვინც ისე არ იქცევა, როგორც სხვები, ხოლო რადგან იგი თავისი საქციელით მთელ გარემოს ახედებს კრიტიკულ სარკეში, მას განსაკუთრებით ემუქრება საფრთხე. ან მეორე შესაძლებლობა — გაგულგრილებული საზოგადოება ასეთ ერთეულს გარეგნულად სდევნის და გაურბის, როგორც მისგან მოითხოვენ, ხოლო საიდუმლოდ, ან ვიწრო წრეში მისდამი სიმპათიას ამჟღავნებს იმის იმედით, რომ ამ ფარული სიმპათიით იმის მიმართ, ვინც ისე იქცევა, როგორც თავად უნდა იქცეოდეს, მაგრამ არ შეუძლია, დააკმაყოფილოს თავისი სინდისის ქენჯნას.

პარადოქსულია, მაგრამ ეს გულგრილობა ნამდვილა ძალიან აქტიური საზოგადოებრივი ფაქტორია: იქნებ ბევრი საარჩევნო ურნებთან, კრებებზე, ოფიციალურ ორგანიზაციებში, შიშის გამო კი არა, უბრალოდ გულგრილობის გამო მიდის? განა არ არის რეჟიმისადმი პოლიტიკური მხარდაჭერის ამგვარი მოჩვენებითი წარმატება ხშირად მხოლოდ ჩვევის, განაფულობის, ავტომატიზმის და უდარდელობის საქმე, რომლის უკანაც სხვა არაფერი იმალება, გარდა ტოტალური რეზიგნაციისა? ყველა იმ პოლიტიკურ რიტუალში მონაწილეობას, რომლებისაც არ სწამთ, აზრი არა აქვს, მაგრამ ეს უზრუნველყოფს სიმშვიდეს, — მაშ რაღა აზრი ექნებოდა მათში მონაწილეობის არ მიღებას? ამით ადამიანი ვერაფერს მიაღწევდა და სიმშვიდესაც გამოემშვიდობებოდა.

ხალხის უმრავლესობას არ უნდა საზოგადოებრივ ძალაუფლებასთან მუდმივ კონფლიქტში ყოფნა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ასეთი კონფლიქტი არ შეიძლება დამთავრდეს სხვაგვარად, თუ არა იზოლირებული ერთეულის დამარცხებით. მაშ რატომ არ უნდა გააკეთოს ადამიანმა ის, რაც მოეთხოვება? ეს ხომ მას არაფრად უღირს, თანდათან კი ამაზე საერთოდ წყვეტს ფიქრს: ეს მას დასაფიქრებლადაც აღარ უღირს.

უიემდობას მიჰყავს აპათიამდე, აპათიას შემგუებლობამდე, შემგუებლობას შესრულების ჩვევამდე, (რაც მერე მასობრივი პოლიტიკური აქტიურობის საბუთად გამოიყენება). ეს ყოველივე ერთად ქმნის ეპოქალურ წარმოდგენას ეგრეთ წოდებულ ნორმალურ ქცევაზე — წარმოდგენას, თავისი არსით ღრმად პესიმისტურს.

რაც უფრო მეტად უარყოფს ადამიანი საერთო პირობების გამოსწორების შესაძლებლობას, საერთოდ ყველა არაპირდაპირ ფასეულობას და მიზანს, ე. ი. მოქმედების შესაძლებლობას „გარეთა“ მიმართულებით, მით უფრო მეტად მიემართება მისი ენერგია იქით, სადაც მას შედარებით მცირე მოთხოვნებს უყენებენ: მიმართულებით „შიგნით“. ხალხი გაცილებით უფრო მეტს ფიქრობს თავის თავზე, თავის სახლზე, თავის ოჯახზე, იქ პოულობს სიმშვიდეს, იქ შეუძლია თავისუფლად მოუძებნოს გამოყენება თავის შემოქმედებას. შოულობს სახლის მოწყობილობას, ლამაზ ნივთებს, სურს თავისი ცხოვრების დონის აწევა, სასიამოვნოს იხდის ცხოვრებას, იშენებს აგარაკებს, უვლის მანქანებს, მეტ ყურადღებას აქცევს კვებას, ჩაცმას, სახლის კომფორტს, უბრალოდ, პირველ რიგში ორიენტაციას იღებს თავისი პირადი ცხოვრების მატერიალურ პარამეტრებზე.

ამ სოციალურ ორიენტაციას, რასაკვირველია, თავისი დადებითი ეკონომიკური შედეგები აქვს: მისი წნეხით ვითარდება უყურადღებოდ მიტოვებული ფართო მოხმარების საგნების წარმოების სფერო და საყოფაცხოვრებო სამსახურები; იგი გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის ამაღლებაზე, ეკონომიკური თვალსაზრისით დინამიური ენერგიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელსაც ძალუძს ნაწილობრივ მაინც შეასრულოს მატერიალური სიმდიდრის განვითარების სფეროში ის ამოცანები, რომლებსაც ტლანქი ბიუროკრატიული და ნაკლებადპროდუქტიული ეკონომიკა გაჭირვებით უმკლავდება (შედარებისათვის საკმარისია მოვიხმოთ კერძო და სახელმწიფო მშენებლობის ხარისხი).

საზოგადოებრივი ძალაუფლება „პირად“ მხარს უჭერს. მაგრამ რატომ?

იმ შედეგებისათვის, რომელსაც იგი მოიპოვებს ეკონომიკური განვითარების ხელსაყრელი სტიმულის სახით? ცხადია, ამიტომაც. თანამედროვე პოლიტიკური პროპაგანდის და პრაქტიკის მთელი სული, რომელიც შეუმჩნევლად, მაგრამ სისტემატურად აღრმავებს ამ ორიენტაციას „შიგნით“, სამყაროში ადამიანის უპირადულესი შინაარსის რეალიზაციისაკენ, სინამდვილეში ძალიან ნათლად ამჟღავნებს, თუ რატომ მიესალმება საზოგადოებრივი ძალაუფლება ხალისით ენერგიის ამ მოზღვავებას: პირველ ყოვლისა, იმისთვის, რასაც იგი წარმოშობის შესაბამისად — ფსიქოლოგიურად — წარმოადგენს, ანუ „საზოგადოებრივი“ სფეროდან გასაძევებლად. რაკი სწორად გრძნობენ, რომ ამოქაჩული, „გარეთა“ მიმართულებით გამოსადეგი ძალები, ადრე თუ გვიან მათ წინააღმდეგ იქნება მიმართული (ანუ მათი იმ სახის წინააღმდეგ, რომლის დათმობასაც არ აპირებენ), **უყოყმანოდ ასაღებენ ადამიანურ ცხოვრებად იმას, რაც სინამდვილეში მხოლოდ მის განწირულ სუროგატს წარმოადგენს.** ამგვარად, საზოგადოების ყურადღება — მისივე მშვიდად პყრობის მიზნით — მიზანდასახულად არის შეტრიალებული თვით მისგან ანუ საზოგადოებრივი საქმეებისაგან. ამგვარად, ადამიანის მთელი ყურადღების გაფაცივებამ წმინდა სამომხმარებლო ინტერესებზე უნდა მოუსპოს მას თავის მიმართ მზარდი სულიერი, პოლიტიკური და მორალური ძალადობის ხარისხის აღქმის შესაძლებლობა. სამომხმარებლო საზოგადოების იდეალების ერთგანზომილებიან მატარებლამდე მისმა დაკნინებამ იგი უნდა გადააქციოს კომპლექსური მანიპულაციის დამთმობ მატარებლად; საფრთხე, რომ შესაძლებელია იგი ააფორიაქოს რომელიმემ იმ უთვალავ და გაუთვალისწინებელ შესაძლებლობათაგან, რომელიც მას აქვს, როგორც ადამიანს, ძირშივე უნდა იქნას დათრგუნული მისი დატყვევებით შესაძლებლობათა საცოდავ ჰორიზონტში, რომელიც მას აქვს, როგორც მომხმარებელს ცენტრალურად მართული ბაზრის შეზღუდულ პირობებში.

ეს ყოველივე იმას მოწმობს, რომ საზოგადოებრივი ძალაუფლება იქცევა იმ არსების მსგავსად, რომლის ერთადერთი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ თვითშენარჩუნებაა. ცდილობს რა, შეინარჩუნოს უმცირესი წინააღმდეგობის გზა, იგი სრულებით არ აქცევს ყურადღებას, თუ რისი საფასურია ეს — **მკაცრი შეტევისა ადამიანურ მთლიანობაზე, ადამიანის ბრუტალური შეზღუდვისა, როგორც ადამიანისა.**

ამასთან ერთად იგივე საზოგადოებრივი ძალაუფლება ჯიუტად ქადაგებს თავის რევოლუციურ იდეოლოგიას — ადამიანის ყოველმხრივი განთავისუფლების იდეალითურთ მის ცენტრში! სინამდვილეში კი რა იქნა ადამიანი, რომელიც კომპლექსურად, ჰარმონიულად და აუთენტურად ანვითარებს თავის პიროვნებას? ადამიანი განთავისუფლებული გამაუცხოებელი საზოგადოებრივი აპარატისგან, ცხოვრებისეული ფასეულობების მისტიფიცირებული იერარქიისგან, გაფორმალურებული თავისუფლებისგან, ქონების დიქტატურისა და ფულის მაფეტიშებელი ძალისგან? ადამიანი, რომელიც სრულად ღებულობს სიამოვნებას სოციალური და იურიდიული სამართლიანობისგან, რომელიც შემოქმედებითად იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მმართველობაში, ამაღლებული ადამიანური ღირსებების მწვერვალამდე და თავის თავთან დაბრუნებული? ნაცვლად იმისა, რომ ადამიანმა თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავისუფლად განავითაროს სულიერი მოთხოვნილებები, მას სთავაზობენ შესაძლებლობას, თავის ნებაზე გადაწყვიტოს მაცივრისა თუ სარეცხი მანქანის რომელი სახეობა შეიძინოს.

ანდა: წინ აღმართულია მაღალი ჰუმანისტური იდეალების წარმოსადეგი შენობა, მის უკან კი სოციალისტური ობივატელის მოკრძალებული საკუთარი სახლი! ერთის მხრივ — მაღალფარდოვანი ლოზუნგები ყოველგვარი თავისუფლების არნახულ განვითარებასა და სიცოცხლის არნახულ სტრუქტურულ სიმდიდრეზე, მეორე მხრივ კი, — შოვნამდე დაკნინებული სიცოცხლის არნახული უფერულობა და სიცარიელე.

სადღაც, მანიპულაციური წნეხის იერარ-

მომხმარებელთა ჩლუნგი ჯოგის მორჩილ წარმომადგენელს ქმნის, დგას, როგორც უკვე შევნიშნე, ფარული და ყოვლისშემძლე ძალა: სახელმწიფო პოლიცია; შემთხვევითი არაა, რომ სწორედ მის მიხედვით შეიძლება განსაკუთრებით თვალსაჩინო ილუსტრირება უსფკრულისა იდეოლოგიურ ფასადსა და ყოველდღიურ სინამდვილეს შორის. ყველასთვის, ვისაც კი ჰქონია სამწუხარო შესაძლებლობა, საკუთარ ტყავზე ეგრძნო ამ ინსტანციის „სამუშაო ხელწერა“, სასაცილოდ ჟღერს ჩვენთვის ოფიციალურად განკუთვნილი განმარტება მისი არსისა. ან იქნებ შეიძლება დავიჯეროთ, რომ ათასი წვრილი მაბეზღარას, პროფესიონალი შპიკის, დაკომპლექსებული, ვერაგი, შურიანი, ბოროტგანმზრახველი პროვინციალის და ბიუროკრატის ბინძური ძრწოლა, ლალატის ეს აყროლებული ხროვა, ალიბიზმი, ტყუილები, ჭორები და ინტრიგები იმ მშრომელის ხელწერაა, რომელიც თავის სახალხო მთავრობას და მის რევოლუციურ მონაპოვარს იცავს მისი მტრებისაგან?

ყველაფერი თავის ადგილზე რომ იყოს, მშრომელთა დემოკრატიის უდიდესი მტერი სწორედ ეს ყველაფერზე თანახმა, უთაკილო ობივატელი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავის დაკოჭლებულ ადამიანურ თავდაჯერებულობას თანამოქალაქეთა დაბეზღებით ინკურნავს, რაც ასე კარგად იგრძნობა ყოველდღიური პრაქტიკის მიღმა საიდუმლო პოლიციისა, როგორც მისი „სამუშაო ხელწერის“ შემქმნელი. ვფიქრობ, რომ თეორიისა და პრაქტიკის მთელი ეს გროტესკული ურთიერთწინააღმდეგობა ძნელად აიხსნება სხვაგვარად, თუ არა როგორც ბუნებრივი შედეგი დღევანდელი სახელმწიფო პოლიციის ნამდვილი მისიისა, რომელიც ადამიანის თავისუფალი განვითარების ძალაუფლებისაგან დაცვას კი არ წარმოადგენს, არამედ პირიქით, მოძალადეების დაცვას იმ საფრთხისაგან, რომელიც მათთვის ადამიანის ჭეშმარიტად თავისუფალი განვითარების ყოველი ცდაა.

რევოლუციური მოძღვრების წინააღმდეგობრიობა ახალი ადამიანის, ახალი მორალის თაობაზე და ცხოვრების სამომხმარებლო ბედნიერების ზედაპირული კონცეფცია ბადებს კითხვას, რატომ ებღაუჭება ასე ავადმყოფურად თავის იდეოლოგიას საზოგადოებრივი ძალაუფლება. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ იდეოლოგია — როგორც გაპირობითებული რიტუალურ-კომუნიკაციური სისტემა — მისთვის უზრუნველყოფს კანონიერების, უწყვეტობის და კონსისტენციის მოჩვენებითობას და ემსახურება მას მისი პრაგმატული პრაქტიკის პრესტიჟულ ნიღბად.

სინამდვილეში კი ამ პრაქტიკის კონკრეტული ინტერესები, რა თქმა უნდა, ოფიციალურ იდეოლოგიაშიც აუცილებლად ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჟონავს იდეოლოგიური ფრაზების უსასრულო გროვის სიღრმიდან, რომლითაც საზოგადოებრივი ძალა ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ადამიანზე და რომელსაც ადამიანი უმეტეს შემთხვევაში მისი ნოლზე დაყვანილი ღირსების გამო თითქმის არ აღიქვამს, ადამიანისთვის გაისმის როგორც ერთადერთი რეალისტური რჩევა: სადამდეც შეგიძლია, პოლიტიკაში არ ჩაერიო — ეს ჩვენი საქმეა, გააკეთე მხოლოდ ის, რასაც ჩვენ გეტყვით, ტყუილად ნუ ფილოსოფოსობ და ცხვირს ნუ ყოფ იმაში, რაც შენ არ გეხება, ჩუმად იყავი, აკეთე შენი საქმე, მიხედე შენს თავს და ბედნიერი იქნები.

ადამიანიც ამ რჩევას მისდევს: საკუთარ ყოფაზე ზრუნვა, ბოლოს და ბოლოს, ერთადერთია, რაზეც შეიძლება საკუთარ მთავრობას მოურიგდე ყოველგვარი უსიამოვნების გარეშე. მაშ, რატომ არ უნდა გამოიყენოს ეს? განსაკუთრებით მაშინ, როცა ისედაც სხვას ვერაფერს გააკეთებს.

იმ ვითარებას, რომლის აღწერაც ახლა ვცადე, საბოლოო ჯამში საით მივყავართ? ან: რას უშვრება ხალხს და რას აკეთებს ხალხისაგან სისტემა, რომელიც დაფუძნებულია შიშსა და აპათიაზე, რომელიც მიერეკება ადამიანს წმინდა მატერიალური ყოფის სფეროში და მას საზოგადოებასთან კომუნიკაციის მთავარ პრინციპად თვალთმაქცობას სთავაზობს? რა მდგომარეობაში აგდებს საზოგადოებას პოლიტიკა, რომლის ერთადერთ მიზანს გარეგნული წესრიგი და საყოველთაო მორჩილება შეადგენს იმის მიუხედავად, თუ რა საშუალებითა და რის

ალბათ, არ არის საჭირო განსაკუთრებული ფანტაზია საიმისოდ, რომ ადამიანი მიხვდეს: ასეთი სიტუაცია შეუძლებელია არ მივიდეს რაიმე სხვასთან, თუ არა მორალური ნორმების თანდათანობით კოროზიასთან, ზრდილობის ცნების — [illegible]ვასა და ნდობის სრულ შერყევასთან — ღირებულებების თვალსაზრისით, როგორიცაა სიმართლე, პრინციპულობა, გულახდილობა, უანგარობა, ღირსება და პატივი; შეუძლებელია არ მივიდეს არსებობის დაქვეითების ბიოლოგიური ვეგეტაციის დონემდე, ანუ „სიღრმულ“ დემორალიზაციამდე, რომელიც სასოწარკვეთიდან და ცხოვრების აზრის შეგრძნების კრიზისიდან გამომდინარეობს; შეუძლებელია არ მივიდეს რაიმე სხვასთან, თუ არა თანამედროვე ტექნიკურ ცივილიზაციაში ადამიანის საერთო მდგომარეობის იმ ტრაგიკული ასპექტის ახლებურ წარმოდგენასთან, რომელიც დაკავშირებულია ჰორიზონტიდან აბსოლუტის გაქრობასთან და რომელსაც მე ვუწოდებდი **ადამიანური იგივეობის კრიზისს** — ან იქნებ სისტემას, რომელიც ასე მკაცრად მოითხოვს მისგან იყოს ვილაც სხვა, ვიდრე არის, შეუძლია დაამუხრუჭოს ადამიანის იგივეობის გამიჯვნა საკუთარი თავისაგან?

წესრიგი მიღწეული იქნა. სულის მოკვდინების, გულის დაჩლუნგების და ცხოვრების დაცარიელების გზით.

მიღწეული იქნა შინაგანი კონსოლიდაცია. **საზოგადოების სულიერი და მორალური კრიზისის** ფასად.

რა თქმა უნდა, ყველაზე ცუდი ამ კრიზისში ისაა, რომ იგი ღრმავდება: საკმარისია სულ მცირედ ამაღლება ყოველდღიურობის შეზღუდულ პერსპექტივაზე, რომ ძრწოლით აღვიქვამთ, რა სწრაფად თმობს ყოველი ჩვენგანი იმ პოზიციას, რომლის დათმობასაც ჯერ კიდევ გუშინ უარყოფდა; რასაც ჯერ კიდევ გუშინ საზოგადოებრივი შეგნება უზნეობად აღიქვამდა, დღეს ამართლებს, რათა იგი ხვალ ბუნებრივად ჩაითვალოს, როგორც ზრდილობის მაგალითი. რაზედაც ჯერ კიდევ გუშინ ვაცხადებდით, რომ არასოდეს მივეჩვეოდით, ან შეუძლებლად მიგვაჩნდა, დღეს ყოველგვარი გაოცების გარეშე ვიღებთ, როგორც რეალობას. ხოლო მას, რაც ცოტა ხნის წინ ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნდა, დღეს გამონაკლისად მივიჩნევთ და, ვინ იცის, იქნებ ცოტა ხანში მიუწვდომელ იდეალადაც კი ჩავთვალოთ.

„ბუნებრივი“ და „ნორმალური“ საზომების შეცვლა და გადახრა მორალურ შეგნებაში, რომელიც საზოგადოებაში მოხდა ამ უკანასკნელ წლებში, უფრო საგრძნობია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

სენი ნაყოფიდან და ფოთლებიდან თითქოსდა ხის შტამბზე და ფესვებზე გადადის. მაშასადამე, საშიშროების ჭეშმარიტ საფუძველს წარმოადგენს ის პერსპექტივა, რომელსაც თანამედროვე ვითარება გვაძლევს.

საზოგადოება შინაგანად ვითარდება, მდიდრდება და კულტივირდება უპირველეს ყოვლისა იმის შედეგად, რომ სულ უფრო და უფრო ღრმად, ფართოდ და დიფერენცირებულად შეიცნობს საკუთარ თავს.

ამ **საზოგადოების თვითშემეცნების** ძირითადი იარაღი მისი **კულტურაა**, კულტურა, როგორც ადამიანური საქმიანობის კონკრეტული სფერო, რომელიც გავლენას ახდენს — თუმც ზოგჯერ სრულიადაც არა უშუალოდ — სულის საერთო მდგომარეობაზე და ამავე დროს ამ ვითარების გავლენის ქვეშაა.

იქ, სადაც საზოგადოების ტოტალური პყრობით ტოტალურად იხშობა მისი შინაგანი დიფერენცირებული განვითარება, სრულიად კანონზომიერად უპირველესად კულტურაა ჩახშობილი: არა მარტო „ავტომატურად“, როგორც რაღაც, რაც მთელი თავისი ონტოლოგიური არსით ყოველი საზოგადოებრივი მანიპულაციის „სულის“ საწინააღმდეგოა, არამედ „პროგრამულად“: გამართლებული შიშით, რომ პირველყოვლისა სწორედ კულტურის გამო — როგორც საკუთარი თვითშეგნების იარაღისა — საზოგადოება შეიგნებს მის მიმართ ჩადენილი ძალადობის ზომას. კულტურის მეშვეობით ადამიანი აღრმავებს საკუთარ თავისუფლებას და აღმოაჩენს ჭეშმარიტებას, რატომ უნდა აინტერესებდეს ძალაუფლებას იგი, როცა მისი არსი სწორედ ამ ღირსებათა ჩახშობაა. ასეთი ძალაუფლება ხომ მხოლოდ ერთადერთ „სიმართლეს“ აღიარებს — მას, რომელიც ესაჭიროება და ერთადერთ „თავისუფლებას“ — გამოხატოს ეს „სიმართლე“.

ასეთი „სიმართლის“ სამყარო, რომელიც ჭეშმარიტი შემეცნების დიალექტიკური კლიმატით კი არა, მხოლოდ გამეფებული ინტერესების კლიმატით სულდგმულობს, არის სამყარო აზრობრივი სტერილურობისა, გაქვავებული დოგმების, მკაცრი და ტლანქი დოქტრინების და პრაგმატული უკანონობისა, როგორც მისი ბუნებრივი შედეგისა.

ეს არის აკრძალვათა, შეზღუდვათა, ბრძანებათა სამყარო. სამყარო, სადაც კულტურულ პოლიტიკად პირველ რიგში კულტურული პოლიციის საქმიანობა ითვლება.

ჩეხურიდან თარგმნა მაკა ნაჭყებიამ.

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2).

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №5

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29

ინდექსი?..

ფასი 50 კაპ.